გამოიწერეთ 100 წლის გაზეთი, რასაც აქ წაიკითხავთ, სხვაგან ვერ ნახავთ!

საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge

გამოდის 1918 წლიდან



იმისთანა ჩმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

ოთხშაბათი, 20 დეკემბერი. 2017 წ. №256 (8393), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ტრაგედია სასტუმრო „ლეო-გრანდში“

...სიტყვა ეძლევა საქართველოს მთავარ პროკურორს!

③

ფრთხილად, სახელმწიფო მიწის წართმევით იმუქრება!

④

ისტორიამ მიშას უნდა გამოუტანოს სასჯელი, როგორც ტროცკისა და მუსოლინს!

⑧

თამარ მეფე ქმრებზე გამარჯვებულ სამეფო წარმომავლობის ექვს ქალს შორის დასახელდა

⑥

დედაქალაქის დაკარგული ხედების ნოსტალგიით გამთბარი...

⑦

გუშინ რუსთაველის მეტროსთან 15 წლის მოზარდი დაჭრეს

ინფორმაცია ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა. უწყების ცნობით, მომხდარზე მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები. მოზარდს ჭრილობები ცივი იარაღით გულ-მკერდის არეში აქვს მიყენებული, ის ინგოროყვას კლინიკაში გადაიყვანეს, სადაც მას ოპერაცია გაუკეთდა.

პოროშენკო სააკაშვილის წერილს ასაჯაროებს

უკრაინის პრეზიდენტის პრესმდივანი სვიატოსლავ ცეგოლკო მიხეილ სააკაშვილის წერილს ასაჯაროებს, **რომელიც ოდესის ყოფილმა გუბერნატორმა პეტრო პოროშენკოს მისწერა.** ცეგოლკოს თქმით, წერილის გამოქვეყნების გადაწყვეტილება მან ჟურნალისტების თხოვნის, ასევე მიხეილ სააკაშვილის განცხადებების გათვალისწინებით მიიღო.

„მიუხედავად ბოლო მოვლენებისა, მე არ მაქვს არანაირი აგრესიული განზრახვები. თქვენ მე ძალიან კარგად მიცნობთ და კარგად გესმით ჩემი. ჩემი დადანაშაულება ფსბ-სთან არა მხოლოდ სრული აბსურდია, უფრო მეტიც, ახარებს უკრაინის მტერს. რაღა თქმა უნდა, მე დავუშვი და ვუშვებ ბევრ პოლიტიკურ შეცდომას, მაგრამ ახლა, როგორც არასდროს, დარწმუნებული ვარ, საჭიროა დეესკალაცია და არ უნდა დავუშვათ სიტუაციის დესტაბილიზაცია. მზად ვარ, ნებისმიერ მომენტში შევხვდე ნდობით აღჭურვილ წარმომადგენელს და ყველაფერი განვიხილოთ. პატივისცემით მიხეილ სააკაშვილი“, — ნათქვამია წერილში, რომელიც პოროშენკოს პრესმდივანმა გაასაჯაროვა.

მიშამ უკან დაიხია — აკი არაფრის მეშინიაო?!

მიხეილ სააკაშვილმა მიტინგების გამართვაზე **დროებითი მორატორიუმი გამოაცხადა.** საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის თანაპარტიელმა ივან ლოზოვიომ ტელეკომპანია უკრაინულ მედიასთან განაცხადა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება კვირას ოქტომბრის სასახლესთან განვითარებული მოვლენების გამო მიიღეს.

„ჯერ კიდევ გუშინ ჩვენ გამოვედით განცხადებით და დავგმეთ პროვოკატორების მიერ მოწყობილი ძალადობა. თუმცა ეს გადაწყვეტილება არ ნიშნავს, რომ „ახალი ძალების მოძრაობა“ აქციებს საერთოდ არ გამართავს“, — განაცხადა ლოზოვიომ. მან ასევე მოუწოდა მთავრობას, კორუფციასთან ბრძოლა დაიწყოს.

„ჩაქცეულები“, რომლებიც კიდევ უფრო გამდიდრდნენ!

ჟურნალმა Forbes-მა 2017 წელს კიდევ უფრო გამდიდრებული მილიარდერების რეიტინგი გამოაქვეყნა. პირველ ადგილზე ინტერნეტკომპანია Amazon-ის ხელმძღვანელი ჯეფ ბესონია. მისი აქციები 33,8 მილიარდი დოლარით გაიზარდა და 98,6 მილიარდი შეადგინა.

მეორე ადგილზე Evergrande Group-ის ხელმღვანელი სიუი ცზიანია. მისი აქტივები 27,4 მილიარდით გაიზარდა და 36,5 მილიარდი შეადგინა.

მესამე ადგილზე Louis Vuitton-ის პრეზიდენტი ბერნარდ არნოა. 2017 წელს ის 23, 6 მილიარდი დოლარით გამდიდრდა. ჯამური კაპიტალი კი 40, 3 მილიარდს წარმოადგენს.

„ფეისბუქის“ დამფუძნებელი მხოლოდ მეოთხე ადგილზეა. მარკ ცუკერბერგი წელს მხოლოდ 23,6 მილიარდით გამდიდრდა. მისი ქონება კი სულ 72 მილიარდი დოლარია.

მეხუთე ადგილზე ტელესაკომუნიკაციო კომპანია Tencent-ის დამფუძნებელი მაა ხუატენაა. ის მხოლოდ 21,8 მილიარდით გამდიდრდა და ახლა მას 44,3 მილიარდის დოლარის ქონება აქვს. ათეულში ასევე შევიდნენ ინდოელი მედიამაგნატი მუკეშ ამბანი, მექსიკელი ბიზნესმენი კარლოს სლივი, აზიის უმდიდრესი ქალბატონი იან ხუეიანი, ორლაისის დამფუძნებელი ლარი ედისონი და აუქციონების სახლის, Christie’s მფლობელი ფრანსუა პინო.

მსოფლიოში 258 მილიონი მიგრანტია

ამის შესახებ **გაეროს ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა დეპარტამენტის მოხსენებაშია ნათქვამი. კვლევის თანახმად, ყველაზე მეტი მიგრანტი, 49,8 მილიონი ადამიანი შეერთებულ შტატებში ცხოვრობს. მიგრანტების მნიშვნელოვან ნაწილს რუსეთის, ჩინეთის, ბანგლადეშის, სირიის, პაკისტანისა და უკრაინის მოქალაქეები წარმოადგენენ.**

გიორგი გახარია საფრანგეთის რესპუბლიკის ელჩს შეხვდა

ვიცე-პრემიერი, შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი გახარია საქართველოში საფრანგეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს პასკალ მენიეს შეხვდა. შეხვედრას, ასევე, ესწრებოდა საფრანგეთის საელჩოს შიდა უსაფრთხოების ატაშე ბრუნო ბალდუკი.

მხარეებმა საქართველოსა და საფრანგეთის რესპუბლიკის სამართალდამცავ უწყებებს შორის არსებული მჭიდრო და ნაყოფიერი თანამშრომლობის განვითარების შესახებ იმსჯელეს. გიორგი გახარიამ და პასკალ მენიემ დადებითად შეაფასეს პოლიციის ატაშეების მუშაობა, რამაც მნიშვნელოვანი შედეგები მოიტანა საერთაშორისო ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლაში თანამშრომლობის კუთხით.

გიორგი გახარიამ პასკალ მენიეს მიმდინარე და დაგეგმილი რეფორმების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა და სამინისტროს პრიორიტეტები გააცნო. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა და საფრანგეთის ელჩმა ორმხრივი თანამშრომლობის სამომავლო გეგმები განიხილეს.

თბილისის მერი გუჯარეთის ქუჩაზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნო

თბილისის მერი კახა კალაძე კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ გენერალურ დირექტორ გიორგი ცხადაძესთან ერთად ისნის რაიონში გუჯარეთის ქუჩაზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნო.

გუჯარეთის ქუჩაზე წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. სამუშაოების დასრულებისთანავე ისნის რიონის გამგეობა აღნიშნულ მისამართზე ასფალტის ახალი საფარის დაგებას დაიწყებს.

როგორც კახა კალაძემ სამუშაოების გაცნობის შემდეგ განაცხადა, „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ გუჯარეთის ქუჩაზე მიწისქვეშა სარეაბილიტაციო სამუშაოებს აწარმოებს, რომლის ფარგლებშიც, სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელები და წყლის მილები მთლიანად იცვლება.

„იმ ქუჩებზე, სადაც სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდება, მიწისქვეშა კომუნიკაციები აუცილებლად გამოიცვლება. მხოლოდ მიწისქვეშა სამუშაოების შესრულებისთვის დაახლოებით, 1 მლნ 700 ათასი ლარი დაიხარჯება, რის შემდეგაც, უკვე ჩვენი სამსახურები შემოვლენ და ასფალტის საფარის დაგება დაიწყება. სავარაუდოდ, თებერვლის დასაწყისში, ყველანაირი სამუშაო მთლიანად იქნება დასრულებული“, — განაცხადა კახა კალაძემ და „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს“ თანამშრომლობისთვის მადლობა გადაუხადა.

ილია ელოშვილი კახა კალაძის მოადგილეა

დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ თბილისის მერის კიდევ ერთი მოადგილის კანდიდატურა წარადგინა. დღეიდან თბილისის მერის მოადგილის თანამდებობას ილია ელოშვილი დაიკავებს.

კახა კალაძემ ილია ელოშვილს წარმატება უსურვა და აღნიშნა, რომ ახალი ენერგიით, დედაქალაქის განვითარებისთვის ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდება.

„მინდა, წარმოგიდგინოთ მერის მოადგილის თანამდებობაზე ილია ელოშვილის კანდიდატურა. ის წლების განმავლობაში, ჩემთან ერთად ენერგეტიკის სამინისტროში მინისტრის მოადგილედ მუშაობდა. ჩვენ 2012 წლიდან ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი განვახორციელეთ და საქართველოს ენერგეტიკის წინსვლაში მისი დიდი დამსახურებაა. იმედი მაქვს, რომ ერთიანი ძალისხმევით, ახალი ენერგიით, ჩვენი დედაქალაქის წინსვლისა და განვითარებისთვის ძალიან ბევრს გავაკეთებთ“, — განაცხადა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, ქალაქის განვითარებისა და წინსვლისთვის ძლიერი გუნდი მნიშვნელოვანია, რომელიც პროფესიონალებით, კომპეტენტური და პატიოსანი ადამიანებით უნდა იყოს დაკომპლექტებული.

სოლიდარობის ფონდის ხელმძღვანელად ია მაქაცარია დაინიშნა

თბილისის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელი ია მაქაცარია მუშაობას სოლიდარობის ფონდში გააგრძელებს.

საქართველოს სოლიდარობის ფონდმა, რომელიც პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, 2014 წელს დაფუძნდა, დღემდე ონკოლოგიური დაავადებების მქონე 22-წლამდე 470 ბავშვისა და მოზარდის მკურნალობა და დიაგნოსტიკა დააფინანსა, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე — საზღვარგარეთ.

სოლიდარობის ფონდის ამოქმედებიდან, საქართველოში უსახსრობის გამო სიმსივნით დაავადებული არც ერთი ბავშვი და ახალგაზრდა არ დაღუპულა. ფონდი საზოგადოების, კერძო სექტორისა და სახელმწიფოს თანამონაწილეობით ე.წ. „ინოვაციური დაფინანსების მექანიზმების“ ამოქმედებასა და ალტერნატიული რესურსების მობილიზაციას ისახავს მიზნად, რომელიც ძირითადად, 22-წლამდე ასაკის ონკოლოგიური დაავადებების მქონე ბავშვებისა და მოზარდების მხარდასაჭერად მიიმართება.

„112“-ს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს

შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ „112“-ს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს. ამ თანამდებობაზე ნიკა გელაშვილი დაინიშნა. შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ლევან კაკავამ „112“-ის თანამშრომლებს ახალი ხელმძღვანელი პირადად წარუდგინა.

პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი ნიკა გელაშვილი მიმდინარე წლის 30 იანვრიდან 15 დეკემბრამდე შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დირექტორი იყო. 2016 წლის 9 სექტემბრიდან 2017 წლის 30 იანვრამდე იგი საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის მთავარი სამმართველოს უფროსის თანამდებობას იკავებდა. 2013-2016 წლებში ნიკა გელაშვილი საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მცხეთა-მთიანეთის მთავარი სამმართველოს პირველი სამმართველოს უფროსი, ხოლო 2013 წელს კი საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მცხეთა-მთიანეთის სამმართველოს უფროსის მოადგილე იყო. 2009-2012 წლებში იგი საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველოს მეოთხე განყოფილების (სასაზღვრო-სამიგრაციო კონტროლი „წითელი ხიდი“) პატრულ-ინსპექტორად მუშაობდა. ნიკა გელაშვილმა 2008 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი.

გამოვლინდა საგადასახადო სამართალდარღვევის 927 ფაქტი

11-17 დეკემბერს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ ქვეყნის მასშტაბით განხორციელებული მიმდინარე კონტროლის ღონისძიების შედეგად, საგადასახადო სამართალდარღვევის 927 ფაქტი გამოვლინდა.

კერძოდ, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის ოფიცრების მიერ შემოწმდა 3919 გადამხდელი, რის შედეგადაც დაფიქსირდა შემდეგი საგადასახადო სამართალდარღვევები: საქონლის სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირების 123 ფაქტი; ეკონომიკური საქმიანობის გადასახადის გადამხდელად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით განხორციელების 70 შემთხვევა; მომხმარებელთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას საკონტროლო-სალარო აპარატის გამოუყენებლობის 734 ფაქტი.

საქართველო ამერიკის უსაფრთხოების სტრატეგიაში

აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების ახალი სტრატეგიის დოკუმენტში — რომელიც პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა წარმოადგინა — რუსეთის შესახებ ანალიზის ერთ-ერთ მონაკვეთში ნახსენებია კრემლის შეჭრა საქართველოსა და უკრაინაში, როგორც დასტური რუსეთის მზაობისა, დაარღვიოს ქვეყნების სუვერენიტეტი.

„საქართველოსა და უკრაინაში შეჭრით რუსეთმა მოახდინა დემონსტრირება, რომ ის მზადაა რეგიონის სახელმწიფოების სუვერენიტეტი დაარღვიოს“, — წერია 68-გვერდიან დოკუმენტში, რომელიც მოქალაქეებს თავად დონალდ ტრამპმა გააცნო.

„რუსეთი აგრძელებს მეზობელი ქვეყნების დაშინებას მუქარის შემცველი ნაბიჯებით, მათ შორის, ბირთვული პოტენციალის გაძლიერებით და შეტევითი შესაძლებლობების მქონე შეიარაღების განთავსებით“, — წერია აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების ახალ სტრატეგიაში.

დოკუმენტი, რომელიც თეთრმა სახლმა ტრამპის გამოსვლამდე ცოტა ხნით ადრე გაავრცელა, შეიცავს გაფრთხილებას, რომ რუსეთი და ჩინეთი ცდილობენ ისეთი მსოფლიოს გამოძერწვას, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის აშშ-ის ღირებულებებთან და ინტერესებთან.

დოკუმენტში ვკითხულობთ: **„იმის მიუხედავად, რომ აღარ არსებობს საბჭოთა კომუნიზმის საფრთხე, ჩვენს სიმტკიცეს ახალი გამოწვევები უდგას წინ. რუსეთი იყენებს გაყალბების გზებს საიმისოდ, რომ დაასუსტოს ნდობა ამერიკის ერთგულებისადმი ევროპის მიმართ, ძირი გამოუთხაროს ტრანსატლანტიკურ ერთობას და დაასუსტოს ევროპული ინსტიტუციები და მთავრობები“.**

დოკუმენტი, რომელიც თეთრმა სახლმა ტრამპის გამოსვლამდე ცოტა ხნით ადრე გაავრცელა, შეიცავს გაფრთხილებას, რომ რუსეთი და ჩინეთი ცდილობენ ისეთი მსოფლიოს გამოძერწვას, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის აშშ-ის ღირებულებებთან და ინტერესებთან. თავის გამოსვლაში ტრამპმა განაცხადა, რომ აშშ-ს სურს „დიდი პარტნიორობა“ ჰქონდეს რუსეთთან, ჩინეთთან და სხვა ქვეყნებთან, მაგრამ ის „ყოველთვის დაიცავს თავის ეროვნულ ინტერესებს“. მისი თქმით, „რეალიზმი“ და მიდგომა „პირველ რიგში ამერიკა“ იქნება ეროვნული უსაფრთხოების წარმმართველი პრინციპები.

აშშ-ის უსაფრთხოების ახალი სტრატეგიის გავრცელების ფონია აშშ-სა და რუსეთს შორის მნიშვნელოვნად დაძაბული ურთიერთობა, რამდენიმე საკითხის გამო — მათ შორისაა უკრაინაში რუსეთის აგრესია, მისი როლი სირიის ომში და ცნობები, რომ რუსეთი ჩაერია აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში, 2016 წელს.

COMMERSANT.GE

ტრაგედია სასტუმრო „ლეო-ბრანდში“

ანუ სიტყვა ეძლევა საქართველოს მთავარ პროკურორს!

სასტუმრო „ლეოგრანდში“ გაჩენილმა ხანძარმა, რამაც 11 ახალგაზრდა კაცის სიცოცხლე დაფერფლა, მთელი საქართველო შეძრა. სულ მალე იგი გადაფარა თბილისის ხორავას ქუჩაზე მომხდარმა მკვლელობამ. სამწუხაროა, რომ ჩვენი ექსპერტები და მიმომხილველები შორს არიან სიმართლისაგან. მე კი მიმაჩნია, რომ ორივე ეს შემაძრწუნებელი ტრაგედია სააკაშვილისა და ნაცების გახრწნილ რეჟიმს უკავშირდება. ხორავას ქუჩაზე მომხდარ ტრაგედიაზე პასუხისმგებლობას ვაკისრებ არა სკოლასა და დაბეჩავებულ და ყოველ წელიწადს დატერორებულ პედაგოგებს, არამედ გარყვნილ და აღვირახსნილ ქართულ ტელეარხებს, საპატრიარქოს არხის გამოკლებით, რომლებიც უცენზუროდ და უბოდიშოდ ეწევიან გარყვნილებისა და ძალმომრეობის პროპაგანდას. აგერ, სულ ახლახან, ყველა არხმა პირდაპირ შეგვჭამა მთელი ერთი კვირის მანძილზე ჰოლივუდის ბოზებით. რაც შეეხება ყაჩაღობებს, ძარცვას, მკვლელობას, საშველი აღარ არის. საინფორმაციო გამოშვებებში ჩვენი ტელეარხები ერთ კვირას ყოველდღე რამდენჯერმე აჩვენებდნენ, ცხადია, შეგნებულად, ხორავას ქუჩაზე მოკლული ყმაწვილის სისხლს, თანაც გადიდებული რაკურსით. რატომ ეგუებიან ამას განათლების სამინისტრო და მისი მესვეურები, სპეცსამსახურები და საზოგადოებრივი წესრიგის დამცველები, პარლამენტარები, პარლამენტის სპიკერატი და კომიტეტები?! რატომ ვეგუებით თითქმის ყოველდღე მოზღვავებულ თურქულ და ინდურ მხატვრული შემეცნებისგან დაცლილ ფილმებს?! რატომ ვეგუებით იმას, რომ ნაცმოძრაობის იდეოლოგებმა გამოშიგნეს და სისხლისგან დაცალეს მოსწავლეთა სასკოლო სახელმძღვანელოები? სასაცილო და სატირალი ის უფროა, „რუსთავი-2“-ის, პირველი არხისა და ობიექტივის ეთერიდან ჭკუას გვასწავლიან ნაცების ყოფილი მინისტრები ნიკა გვარამია, მათე ტაკიძე, დიმიტრი შაშკინი. ისევ ისე გვაყრის ნაცარს თვალებში აჭარის ტელევიზია, როგორც ნაცმოძრაობის რეჟიმის დროს, ჩვენს გამოჩენილ მოღვაწეებს,მწერლებს, მეცნიერებს, მეცნიერებათა აკადემიის წევრებს სასაუბროდ არავინ იწვევს. 16 დეკემბერს „ობიექტივის“ ეთერში ნიკოლეიშვილის გადაცემაში მათე ტაკიძემ ბოლოს გერმანული განათლების მოდელი ახსენა. თქვე კაიდედმამიშვილებო, საქართველოში გერმანული, ანუ ანგლოსაქსური განათლება გვქონდა და თქვენ არ დაანგრიეთ?!

ამ დროს პასუხს მათხოვრულ ხელფასიან და შიმშილით გაძვალტყავებულ პედაგოგებს ვთხოვთ. საათივით აწყობილი განათლების სისტემის კ. ლომაიას მიერ აღვირახსნილმა ნგრევამ, რომელიც ახლაც გრძელდება და რომელმაც უფლებები ჩამოართვა სკოლის დირექტორებს, ღვაწლმოსილ პედაგოგებსა და აღმზრდელებსაც. მანდატურები დაასვეს თავზე და ამით სურთ წესრიგის „დამყარება“. სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებაში პოლიციური რეჟიმი დაუშვებელია. დამაფიქრებელია, რომ თანატოლის მკვლელობა ჩაიდინა იურისტ-პროკურორის ოჯახში აღზრდილმა ბავშვმა. სასწრაფოდ მისაღებია კანონი ტელეარხებისა და, ზოგადად, მასმედიის შესახებ, რომლებიც რყვნიან ჩვენს ახალგაზრდობასა და წარმოიდგინეთ, უფროს თაობასაც. რაც შეეხება სკოლას, სასწრაფოდ გასაუქმებელია მე-12 კლასი. რატომაა, რომ განათლების მინისტრები თავისუფლების ინსტიტუტიდან ინიშნებიან?! საქართველო დუღდა ჯეჯელავას მინისტრობის გამო. თქვენ წარმოიდგინეთ, უსახური არამზადა ნაციონალი ნიკა გვარამიაც კი განათლების მინისტრი იყო. საჭიროა ხელისუფლებამ ხალხს მანამდე მოუსმინოს, სანამ ურემი გადაბრუნდება. სწორედ ისეა, ერთი იდიომა რომ ამბობს, დედაბერი გააუპატიურეს და კარი მერე დაკეტესო.

დავუბრუნდეთ სასტუმრო „ლეოგრანდის“ ტრაგედიას. ზემოთ ვთქვი, მისი მიზეზი სააკოვის რეჟიმშია-მეთქი, რომელიც ჯერაც არ არის აღმოფხვრილი. კიდევ მეტიც: ნაცები „ქართულ ოცნებას“ სახეში უბათქუნებენ და „ქართული ოცნება“ მეორე ლოყას უშვერს, რაც პირია უნდა იყოს.

ახლა განვიხილოთ, „ლეოგრანდის“ ტრაგედია. რატომ უკავშირდება სააკაშვილის რეჟიმს?

2012 წლის 14 თებერვლის გაზეთ „აჭარა-P. S.“-ის ფურცლებზე გამოვაქვეყნე საკმაოდ ვრცელი სულისშემძვრელი სტატია „გვიშველეთ“! რომელშიც ვწერდი: „ბათუმი შეშფოთებულია და დუღს აჭარის ხელისუფლების უსუსურობით... ხალხი უკვე ალაპარაკდა ხელისუფალთა გამყიდველობაზე, რომლის მიზანია ბათუმის თანდათანობით თურქებზე ჩაბარება. ცნობილი გახდა, რომ საზღვაო სანაოსნოს ყოფილი შენობა, რომლის საბაზრო ღირებულება რამდენიმე მილიონია, თავისი ნახევარი ჰექტარი ტერიტორიით, 1 ლარად გადაეცა თურქ ბიზმესმენს.“ წინა დღით იგი მოინახულეს თურქეთის ელჩმა და აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ ლ. ვარშალომიძემ. იმავე ღამით შენობას ბულდოზერები შეუსიეს და აღგავეს პირისგან მიწისა. ამ დროს აჭარის ტელევიზია და პრესა ხალხს ნაცარს აყრის თვალებში. ხალხის ერთი ნაწილი ლაპარაკობს, რომ თურქი ბიზსმესმენი და ლ.ვარშალომიძე სასტუმროს იშენებენ. ზოგიც შიშობს, რომ ხსენებულ ადგილას მეჩეთს აშენებენ. მე მაშინ მოვუწოდე თბილისის ინტელიგენციას, სანამ სააკაშვილი თბილისში პირველი ღამის უფლებას დაგიკანონებთ, ხმა ამოიღეთ-მეთქი.

აჭარის მთავრობამ გაჩუმება არჩია. სამაგიეროდ, თურქეთის გენერალური კონსული ერგინ არიქანი გამოიყვანეს ჩემ წინააღმდეგ იმავე გაზეთში და ყველაფერი უარყო, არც მე და არც ჩემი ქვეყნის ელჩმა არაფერი ვიცითო. წარმოგიდგენიათ, თურქი ბიზნესმენი 40-მილიონიან სასტუმროს აშენებს ბათუმში და კონსულმა ვითომ არაფერი იცის ამის შესახებ!!!

აქ ბუნებრივად ისმება კითხვა: აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ ლ. ვარშალომიძემ, რომლის სახელი ეწოდა სასტუმროს, რა უფლებებით გადასცა ხალხის ქონება (6 მილიონი ღირებულების, მეტი თუ არა) უცხოელს, ნახევარი ჰექტარი მიწით, თანაც ზღვის სანაპირიდან 200 მეტრის დაშორებით?! ამას ვერავინ დაამტკიცებს, რომ ანგარების გარეშე მოხდა, რომ თურქ ბიზმესმენს წილში არ უსხედან!

ლ. ვარშალომიძე და, ვფიქრობ, სააკაშვილიც! ეჭვებს ისიც აღძრავს, რომ ტრაგედიის ადგილას სასწრაფოდ ჩამოფრინდა სანდრა რულოვსი, რომლის მიზანი სიტუაციის დაზვერვა იყო. რომ არა ეს ანგარებიანი გარიგება, თურქ ბიზნესმენსა და ლ. ვარშალომიძეს შორის, 11 სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა კაცი, რომლებსაც შეეძლოთ სიკეთე მოეტანათ თავიანთი ოჯახებისა და სამშობლოსთვის, ახლა საფლავებში არ იქნებოდნენ. მოვუწოდებ საქართველოს მთავარ პროკურორს შოთაძესა და მის უწყებას, ტრაგედიის გამოძიება 2012 წლის იმ კორუფციული გარიგებიდან დაიწყონ, საიდანაც სათავე დაედო 11 ახალგაზრდა კაცის სიკვდილს. თორემ ერთ ლარად რამდენიმემილიონიანი ღირებულების შენობა-ნაგებობას, თავისი 0,5 ჰ ექტარი ტერიტორიით, არც წესიერ და არც უწესო ქვეყანაში არავინ არავის ჩუქნის. ცხადია, სააკაშვილის დროინდელი ადეიშვილის პროკურატურა ამას სამზეოზე არ გამოიტანდა. მე ეს და სხვა კორუფციული სქემები წარვადგინე ა.ხაბაძის მთავრობაში, მაგრამ ესეც ვარშალომიძეზე არანაკლები ნაციონალი იყო, რომელმაც 4 წელიწადი ნაცების გათეთრებას მოახმარა და ვარშალომიძის შეკვეთებს ასრულებდა. ამიტომაც იყო, რომ მისი რეჟიმის დროსაც უსაფუძვლო დევნის ობიექტი ვიყავი.

სასტუმროს თურქი მეპატრონე ერონ ავგორენი ურთიერთგამომრიცხავ განცხადებებს აკეთებს, თითქოს სასტუმროში ყველაფერი რიგზეა და უსაფრთხოების წესები დაცული იყო, რაც სიმართლესთან ისე შორს არის, როგორც სტამბოლი და თბილისი, გნებავთ, ბათუმი. სააკაშვილის რეჟიმის დროს ბათუმში თურქ მოქალაქეებს მეტი უფლებები ჰქონდათ, ვიდრე მე. ჭაობში ჯორკოს დადგმის უფლებას არ მომცემდნენ. პატრულს ეკრძალებოდა მოძრაობის წესების დამრღვევი თურქეთის სატრანსპორტო საშუალებების გაჩერება. „ლეოგრანდში“ უსაფრთხოების წესების გაკონტროლებას ვინ გაბედავდა. აუცილებლად უნდა დაიკითხოს ავადსახსენებელი ავგორენი, რომლის ბიზნესინტერესებს 11 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, რის საფასურად გადასცა აჭარის ხელისუფლებამ 1 ლარად ძვირადღირებული რამდენიმესართულიანი კაპიტალური შენობა და 0,5 ჰექტარი მიწა. უნდა დაიკითხოს ასევე მაშინდელი აჭარის მთავრობის ყველა წევრი და არაწევრი, ვისაც კი რაიმე შეხება ჰქონდა ამ გარიგებასთან.

მინდა ვირწმუნო, რომ დღევანდელი ქართული პროკურატურა გამოიძიებას დაიწყებს იმ კორუფციული გარიგებიდან, რომელიც 2012 წელს დაიწყო და 2017 წელს გაუგონარი ტრაგედია დაგვატეხა თავს.

მე კიდევ ერთხელ ღრმა სამძიმარს ვუცხადებ დაღუპულთა ოჯახებს და მათ სულებს მარადიულ ნათელში ყოფნას ვუსურვებ. ცოტა კი არა და ბევრ უხერხულობას ვგრძნობ, ამ მეტად მტკივნეულ თემაზე რომ ვსაუბრობ, მაგრამ ამის უთქმელობაც ღალატი იქნებოდა დაღუპულთა და მათი ოჯახების წინაშე.



სიტყვა ეძლევა საქართველოს მთავარ პროკურორს.

შოთა ზოიძე,
მწერალი
ბათუმი

◎ ახალი ინფორმაცია ბათუმიდან

5 გარდაცვლილის ოჯახს კომპენსაცია გადაეცა

— აცხადებს სასტუმრო „ლეოგრანდის“ იურისტი კახა წერეთელი. სამართალდამცავებმა 15 დეკემბერს სასტუმროს მფლობელი დაკითხეს.

„მფლობელი დაახლოებით, ერთი კვირის წინ დაიკითხა. გრძელდება შენობის ექსპერტიზა და ასევე, დაკითხვებიც. ექსპერტებთან მხოლოდ ტექნიკურ საკითხებზე გვაქვს შეხება, მათ იმ ინფორმაციას ვაწვდით, რასაც ისინი ითხოვენ. თუ რა იკვეთება, ეს გამოძიებამ იცის“, — აცხადებს წერეთელი. როგორც იურისტი აღნიშნავს, ექსპერტების საქართველოს ფარგლებს გარეთ მოძიების და მოლაპარაკებების პროცესი კვლავ გრძელდება.

საზოგადოებრივი მაუწყებელი დღეს დაჩაგრულ მდგომარეობაშია!

საზოგადოებრივი მაუწყებელი დღეს არა პრივილეგირებულ, არამედ დაჩაგრულ მდგომარეობაშია და ის ამ მდგომარეობიდან უნდა გამოვიდეს, — ეს განცხადება, „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკის დირექტორმა გიორგი გვიმრაძემ გააკეთა. მაუწყებლის შესახებ კანონთან დაკავშირებით გამოთქმულ კრიტიკაზე გვიმრაძემ, პირველი არხის გადაცემაში „აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად“ ისაუბრა. გიორგი გვიმრაძემ „ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის“ აღმასრულებელ დირექტორს ნატა ძველიშვილს უპასუხა, რომელმაც განაცხადა, რომ „დღეს საზოგადოებრივი მაუწყებელი პრივილეგირებულ მდგომარეობაშია“.

„ქვეყანაში კომერციული მაუწყებლების პრიმატი არსებობს, რაც პარლამენტში პირდაპირ ითქვა. ჩვენ ვცხოვრობთ საზოგადოებაში, სადაც საზოგადო სიკეთე უფრო ცუდი რამეა და დაჩაგრულია, ვიდრე — კერძო სიკეთე. ეს მდგომარეობა ძალიან ცუდია და ის ადამიანები, ვინც ცვლილებებს ეწინააღმდეგებით, კერძო სიკეთეების სასარგებლოდ საზოგადო სიკეთეს ებრძვით. თქვენ ცდილობთ, კერძო ინტერესი საზოგადო სიკეთეზე მაღლა დააყენოთ. ეს არის ფაქტი“, — განაცხადა გიორგი გვიმრაძემ.

ფრთხილად, სახელმწიფო მიწის ნართმევით იმუქრება!

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების რეფორმა 1992 წელს დაიწყო.

კერძოდ, საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის 1992 წლის 6 თებერვლის და 1992 წლის 10 მარტის დადგენილებების საფუძველზე, ხოლო არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების - 1998 წლიდან, როდესაც 1997 წელს მიღებულ იქნა საქართველოს ახალი სამოქალაქო კოდექსი (ამოქმედდა 1998 წლის 1 იანვრიდან). ასევე, 1998 წლის ოქტომბერში მიღებულ იქნა კანონები: 1. „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ“ (გაუქმდა 2007 წლის 11 ივლისს), 2. „ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ“ (გაუქმდა 2007 წლის 20 სექტემბერს).

1992 წლიდან, იმ დროს მოქმედი ნორმატიული აქტების საფუძველზე, ყველა სოფელსა და დაბაში იქმნებოდა მიწის რეფორმის კომისიები, რომლებიც ადგენდნენ მიწის მიმღებთა სიებს, სიები მტკიცდებოდა რაიონულ კომისიაზე, რის შემდეგაც ხდებოდა სახელმწიფო მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტების გამოწერა და მიწის მესაკუთრეზე გადაცემა შესაბამისი ანაზღაურებით.

მიწის მესაკუთრე მიწის ფართობის სიდიდის მიხედვით იხდიდდა 30-70 მანეთის ფარგლებში (შემდეგ იყო კუპონებით ანაზღაურება). მიწებს ღებულობდა, როგორც სოფლის, ასევე დაბისა და ქალაქის მცხოვრებლები დამტკიცებული ნორმითა და წესით, რომელიც რეგისტრირდებოდა რაიონის მიწათმოწყობის სამსახურში სპეციალურად შექმნილ ჟურნალში (იმ დროს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად). მიწათმოწყობის სამსახური ექვემდებარებოდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს. აღსანიშნავია, რომ აღრიცხვის დროს კეთდებოდა საკუთრებაში გადაცემული მიწის ნაკვეთის მიღება ჩაბარების სახელმწიფო აქტი ხუთ ეგზემპლარად და შესაბამისი ტერიტორიის რუკა მესაკუთრების რეგისტრაციით.

აღნიშნული აქტებისა და რუკების გაკეთება ევალებოდა იმ დროს არსებულ მიწათმოწყობისა და მიწათსარგებლობის საპროექტო ინსტიტუტს, აგროსერვისის სამსახურს და სპეციალურად შექმნილ საპროექტო ჯგუფს.ყველა დოკუმენტი ინახებოდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში და სამინისტროს შესაბამის რაიონულ სამსახურებსა და შემდგომ კი არქივებში.

1997 წელს საქართველოში შეიქმნა საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი და დეპარტამენტს დაქვემდებარებული რაიონული მიწის მართვის სამმართველოები.

1997 წლის 25 ნოემბერს მიიღეს ახალი სამოქალაქო კოდექსი. ამ კოდექსის საფუძველზე (მუხლი1514) დადგინდა,რომ ტექნიკური აღრიცხვის სამსახურების პარალერულად უძრავი ქონების (მათ შორის მიწის) რეგისტრაცია უნდა განხორციელებულიყო საჯარო რეესტრის სამსახურში. მანამდე მიწის ნაკვეთებისა და მასზე მდგომი შენობა-ნაგებობების რეგისტრაციას (როგორც პირველადს, ასევე მეორად რეგისტრაციას), ხორციელდებოდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მოქმედი ტექნიკური ინვეტარიზაციის ბიუროებში (ტექნიკური ინვეტარიზაციის სამასახურებში) მათი საქმიანობის მიზანი იყო, მოეხდინათ განმცხადებლების საფუძველზე მათ მფლობელობაში არსებული უძრავი ნივთების აღრიცხვა-რეგისტრაცია.

აღრიცხვის საფუძვლად მიეთითებოდა, როგორც ფაქტიური მფლობელობა, ასევე იურიდიული დოკუმენტების საფუძველზე მათ საკუთრებაში გადაცემული უძრავი ნივთები.

სამოქალაქო კოდექსის 1514 მუხლის თანახმად, საჯარო რეესტრის სამსახურის ჩამოყალიბებამდე მიწის ნაკვეთების გასხვისება უნდა მომხდარიყო ტექნიკური ინვეტარიზაციის ბიუროების დახმარებითა და მათ მიერ განხორციელებული რეგისტრაციების ან ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში არსებული მიწის ნაკვეთების მიმაგრების აქტების საფუძველზე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1515 მუხლის თანახმად კი, განხორციელდა უძრავი ნივთების რეგისტრაციის მონაცემების საჯაროობის უზრუნველყოფა, რაც მოიცავდა შემდეგს; „საჯარო რეესტრის ერთიანი სამსახურის ჩამოყალიბებამდე სამოქალაქო კოდექსით ამ სამსახურებისათვის დაკისრებული ფუნქციები უნდა განხორციელებინა ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროებს, საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს და მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტს უნდა უზრუნველეყოთ საჯარო რეესტრის მონაცემების საჯაროობა და ხელმისაწვდომობა დაინტერესებული პირთათვის“.

საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტმა უზრუნველყო სათანადო სამსახურის ჩამოყალიბება, საჯარო რეესტრის ფორმულარების მომზადება და ორგანიზაციული საკითხების მოგვარება, რომლებიც დაკავშირებული იყო სამოქალაქო კოდექსის ამოქმედების პერიოდიდან წარმოშობილი უძრავი ნივთის მესაკუთრეების რეგისტრაციასთან.

მიწის ნაკვეთების ყოველი ახალი შეძენის რეგისტრაცია 1997 წლის 25 ნოემბრიდან განხორციელდა მიწის რეგისტრაციის სამსახურის სისტემაში არსებული საადგილმამულო წიგნის (საჯარო რეესტრის) სამსახურში, რამაც გამოიწვია ორმხრივი რეგისტრაციები როგორც საჯარო რეესტრში, ასევე ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროებში, რაც გაგრძელდა 2005 წლამდე. ორმაგი რეგისტრაცია კი იწვევდა საზოგადოების უკმაყოფილებას, განსაკუთრებით მძიმე ტვირთვად დაანწვა მოსახლეობას საჯარო რეესტრის მიერ რეგისტრაციის განსახორციელებლად დაწესებული არცთუ მცირე გადასახადი. დაიწყო რეგისტრირებული მიწების განმეორებითი რეგისტრაცია შესაბამისი ანაზღაურებით.

2004 წელს საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის დაუსაბუთებლად გაუქმების შედეგად, ასევე გაუქმდა ამ სამსახურის რაიონული რგოლები და რაიონულ სამსახურებში არსებული ყველა დოკუმენტაცია (სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მესაკუთრეთა რეგისტრაციის დოკუმენტაცია) სამწუხაროდ, დაიკარგა ან შეგნებულად განადგურდა.

როდესაც შემოიღეს მიწის აზომვისა და აღრიცხვის ახალი სისტემა, მიწის მესაკუთრეთა სასოფლო-სამეურნეო დანიშულების მიწების ნაკვეთების ახალი სისტემით აზომვისა და რეგისტრაციის მიზნით საქართველოს მთავრობამ აიღო კრედიტი 52 მილონი გერმანული მარკა და 12 მილიონი დოლარი, გააფორმა ხელშეკრულება ერთ-ერთ გერმანულ ფირმასთან. აღნიშნულმა ფირმამ დაიწყო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების აზომვითი სამუშაოები. ამ ღონისძიების მიზანი იყო, რომ ფიზიკურ პირთა საკუთრებაში არსებული მიწები დაზუსტებულიყო აზომვის ახალი სისტემით უფასოდ და მესამედ დარეგისტრირებულიყო ახლად შექმნილ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

დაუჯერებელია მაგრამ ფაქტია: ფირმის ერთი ხელმძღვანელის თვიური ხელფასი შეადგენდა, საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის მთელი სისტემის 1660 თანამშრომლის წლიურ ხელფასს (კონტროლის პალატის შემოწმების მასალებიდან). კიდევ უფრო დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია: სამუშაოები განხორციელდა, აღებული კრედიტი მთლიანად ათვისებულ იქნა და თითოეულ მიწის მესაკუთრეზე შედგენილი მიწის საკუთრების დოკუმენტების აბსოლუტური უმრავლესობა არ იქნა გამოყენებული დანიშნულებისამებრ. შეიძლება ითქვას, რომ მდინარე მტკვარში გადაიყარა 52 მილიონი გერმანული მარკა და 12 მილიონი დოლარი თავისი პროცენტებით.

რადგანაც გაუგებარი მიზეზებით გერმანული ფირმის ჩატარებული და გაკეთებული მიწის აზომვითი ნახაზები, რუკები და ელექტროვერსიები არ გამოიყენეს დანიშნულებით. დადგინდა, რომ ახალი სისტემით მიწის რეგისტრაციისთვის მიწის მესაკუთრეებს თავისი სახსრებით უნდა მოეხდინათ აზომვითი ნახაზის ელექტრო ვერსიის გაკეთება და რეგისტრაციის საფასური – შვიდი ლარი ფიზიკურ პირს უნდა გადაეხადა. ეს ეცოტავათ და შემდეგ რეგისტრაციის საფასური გახდა ოცდათი ლარი. მაშინ როდესაც მიწის მართვის სამმართველოს მთავარი სპეციალისტის ყოველთვიური ანაზღაურება იყო 35 ლარი.

2004 წლიდან რეგისტრაციის მომსახურების საფასური გახდა 50 ლარი, დაჩქარებული მომსახურება 250 ლარი.მიწის მესაკუთრეების უმრავლესობამ თავისი საკუთარი მიწის ნაკვეთი ოთხჯერ დაარეგისტრირა – პირველად, რაიონში არსებული საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიწათმოწყობის სამსახურში, მეორედ, საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის რაიონულ სამსახურებში და მესამედ, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში შესაბამისი თანხების გადახდით. მეოთხედ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრში (ეს მდგომარეობა არ ეხება იმ ფიზიკურ პირებს, ვისაც საერთოდ არ დაურეგისტრირებიათ საკუთარი მიწის ნაკვეთები).

სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს: 2008-2009 წლამდე ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ დარეგისტრირებული მიწის ნაკვეთების რეგისტრაცია ჩაითვალა დაუზუსტებლად და საჭირო გახდა ახალი რეგისტრაციის განხორციელება. რისთვისაც მიწის მესაკუთრეს მიწის ნაკვეთის ახალი სისტემით აზომვაში უნდა გადაეხადა 50-200 ლარი, და რეგისტრაციისათვის 50 ლარი პლუს ერთი ლარი საბანკო მომსახურებისთვის.

ვისაც შესაძლებლობა ჰქონდა, ანდა სჭირდებოდა ამონაწერის განახლება, საჯარო რეესტრიდან გადაიხადა აღნიშნული თანხა და მეოთხედ დაარეგისტრირა თავის საკუთრებაში რამდენჯერმე დარეგისტრირებული ნაკვეთი. ყოველივე ამან გამოიწვია ის, რომ საჯარო რეესტრში 2016 წლისთვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მესაკუთრეთა მიწების მხოლოდ 27% აღმოჩნდა რეგისტრირებული.

* * *

განსაკუთრებით აღსანიშნავია, „ქონების ლეგალიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონი, (რომელიც მიღებულია 2007 წლის 22 ივნისს), 2011 წლის 22 მარტს შეტანილი ცვლილებებით (კანონის მე-6 მუხლს დაემატა მე-6 პრიმა მუხლი და კანონის მე-7 მუხლს დაემატა მე-3 პუნქტი) ითვალისწინებდა:

იმ შემთხვევაში, თუ მესაკუთრის მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი არ იყო სრულყოფილად შევსებული (მიღება-ჩაბარების აქტს ადგენდა ადმინისტრაციული ორგანო, რომელსაც გაჩნდა სახელმწიფოს მიერ კანონიერი ნდობა, რომ მის მიერ გამოცემული აქტი სამართლებრივად სწორად უნდა ყოფილიყო შედგენილი), აქტის მეპატრონეს უნდა გადაეხადა თითოეულ კვადრატულ მეტრზე 15 ლარი, წინააღმდეგ შემთხვევაში მის მიმართ აღიძრებოდა სისხლის სამართლის საქმე.

დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ ფიზიკურ პირს, რომელსაც სახელმწიფოს შესაბამისმა ორგანიზაციამ ხარვეზით მისცა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფო მიღება-ჩაბარების აქტი, მის საკუთარ ერთ ჰექტარზე არსებულ მიწის ნაკვეთის რეგისტრაციისთვის უნდა გადეხადა 150 000 ლარი.

თანაც ეტყვიან, მადლობა გვითხარი რომ არ გაძლევთ პასუხისგებაშიო. ხოლო იმ პირმა, რომელმაც უკანონოდ მიიტაცა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და უკანონოდ ააშენა სახლი „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწების ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ, საქართველოს კანონის შესაბამისად, რომელიც ასევე მიღებულია 2007 წლის 11 ივლისს, უნდა გადაიხადოს ერთ კვადრატულ მეტრ მიწის ნაკვეთში 5 თეთრიდან 10 თეთრამდე (არ იფიქროთ სტილისტური შეცდომაა, სწორედ თეთრი და არა ლარი).

ამით არ დამთავრებულა მიწების გაუგებარი და გაუთავებელი რეგისტრაცია. მთავრობა იძულებული გახდა, მიეღო ახალი კანონი 2016 წლის 3 ივნისს № 5153 „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“.

ამ კანონის შესაბამისად, შერჩეულია საპილოტო 12 სოფელი, გამოყოფილია 12 მილიონი და სახელმწიფო უზრუნველყოფს უფასო სისტემურ რეგისტრაციას. დანარჩენ 4488 სოფელში მიწების სპორადული რეგისტრაცია უნდა დამთავრდეს 2018 წლის 1 ივლისამდე.

მიუხედავად იმისა, რომ პირველადი რეგისტრაცია უფასოა, შეუძლებელია აღნიშნულ ვადებში რეგისტრაციის დამთავრება. მრავალ მიზეზთაგან ერთ-ერთი ის არის, რომ უმრავლეს კერძო ამზომველებს არ გააჩნიათ აზომვითი ნახაზის შესადგენად თანამედროვე ძვირად ღირებული ხელსაწყო. ასევე თავს იკავებენ უფასოდ ნახაზის გაკეთებაზე, რადგან არა აქვთ იმედი, რომ დროულად აუნაზღაურდებათ გაწეული შრომა!

ყოველივე ზემოთ აღნიშნული სერიოზული პრობლემები, შეცდომები და უთავბოლობა ამით არ დამთავრებულა. ფიზიკურ პირებს, რომელთაც მიწები რეგისტრირებული აქვთ საჯარო რეესტრში და ხელთ აქვთ ამონაწერი, სადაც აღნიშნულია, რომ ფართობი დაზუსტებულია, მაგრამ არ არის გატარებული ელექტროვერსიაში ანდა ელექტროვერსიაში, არსებული მონაცემები განსხვავდება ამონაწერის მონაცემებთან შედარებით, რაც მისი ბრალი არ არის, ახალ ამონაწერს არ აძლევენ და საჯარო რეესტრი ითხოვს ახალ ელექტროვერსიას (აზომვით ნახაზს) და რეგისტრაცია ფასიანია, ამასთან, ფასიანია აზომვითი ნახაზიც. ასევე, თუ საჯარო რეესტრის გაცემულ ამონაწერსა და ელექტროვერსიას შორის არის ცდომილება ერთი კვადრატული მეტრიც კი, რომელიც რეესტრის მიერ დაშვებული ტექნიკური შეცდომაა, ითხოვენ ახალ აზომვით ნახაზს და ახალ რეგისტრაციას, რაც ასევე გარკვეულ თანხებთანაა დაკავშირებული.

რა გამოდის?

მოქალაქეები იხდიან ფულს სახელმწიფო ორგანოების მიერ დაშვებულ შეცდომებში. ყოველივე ზემოთ აღნიშულიდან, შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ ძალიან ბევრ მიწის მესაკუთრეს ერთიდაიმავე მიწაზე, მოუწია (ან მოუწევს) ხუთჯერ რეგისტრაცია და შესაბამისი თანხის ოთხჯერ გადახდა.

უსამართლობის ერთ-ერთ ფაქტს ასევე წარმოადგენს ისიც, რომ 2000 წელს ტექნიკური ინვეტარიზაციის ბიუროს მიერ აღრიცხული მიწის ნაკვეთებსა და შენობა-ნაგებობებზე არ ხდება მისი რეგისტრაცია საჯარო რეესტრში და ეს მაშინ, როდესაც აღნიშნულ ქონებაზე უკვე გაცემულია ცნობა დახასიათება და ინვენტარიზაციის გეგმა. მიზეზად სახელდება ის, რომ მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგებობა დღეის მდგომარეობით აღარ არსებობს. ეს ნაკვეთები აჰყავთ სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის საკუთრებაში და აუქციონის წესით ყიდიან. ზოგიერთ შემთხვევაში ერთ ლარად.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ იმ შემთხვევაში, თუ 2018 წლის 1 ივლისამდე ფიზიკური პირები და კერძო სამართლის იურიდიული პირები თავიანთ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს ახალი წესით არ დაარეგისტრირებენ, მათ საკუთრებაში არსებული მიწები დარეგისტრირდება სახელმწიფო საკუთრებაში. ერთი წლის განმავლობაში შესაძლებელი იქნება გასაჩივრება. ეს ნიშნავს ერთი წლის შემდეგ მოხდება მიწების ნაციონალიზაცია.

ანზორ მესხიშვილი,
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სერტიფიცირებული ექსპერტი უძრავი ქონების (მიწის) საკითხებში

ვინ მოჰყვება რეგიონულ საკადრო წმენდაში?

თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ რეგიონებში დიდი რეორგანიზაცია დაიწყო. იგეგმება თანამშრომელთა შემცირება და სტრუქტურული ერთეულების გაუქმება. ზოგიერთ რაიონში ამ პროცესს დაპირისპირება მოჰყვა.

ქუთაისის მერიაში რეორგანიზაცია უკვე მიმდინარეობს და იგი 27 დეკემბერს დასრულდება. სწორედ ამ დღეს წარედგინება საკრებულოს დეპუტატებს რეორგანიზაციის დასრულებული ვარიანტი. ქალაქის მერის **გიორგი ჭიღვარიას** თქმით, ოპტიმიზაციის ფარგლებში მოხდება სტრუქტურული ცვლილებები და ასევე ყველა ვაკანტურ პოზიციაზე კონკურსი გამოცხადდება. ამ გზით შეირჩევიან სამსახურის უფროსებიც, რომელთაგან ხუთმა დაკავებული პოზიცია უკვე დატოვა.

კახეთშიც ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვებული მერები საბიუჯეტო ორგანიზაციებში რეორგანიზაციას აანონსებენ. 2018 წლის დასაწყისიდან იგეგმება აიპ-ი ორგანიზაციების ოპტიმიზაცია, რაც თანამშრომელთა საშტატო ერთეულების შემცირებასაც გულისხმობს.

თვითმმართველი ქალაქის სტატუსის გაუქმების შემდეგ თელავში რამდენიმე ერთი და იმავე ფუნქციის მქონე აიპ-ი მუშაობს, ამიტომ თელავის მერია მათ გაერთიანებას აპირებს. ის, თუ რომელი ორგანიზაციები გაერთიანდება, იანვარში გახდება ცნობილი.

რეორგანიზაცია იგეგმება ლაგოდეხშიც, თუმცა მერიის პრესსამსახურს ჯერ დეტალური გეგმა არა აქვს და მედიისთვის განცხადებას ამ ეტაპზე ვერ გააკეთებს.

გურჯაანის მერმა **არჩილ ხანდამაშვილმა** კი, მოსალოდნელი რეორგანიზაციის შესახებ განმარტება უკვე გააკეთა: **„სამსახურები და განყოფილებები, რომელიც პირდაპირ კავშირშია მოქალაქეების მომსახურებასთან, სწორად უნდა იყოს დალაგებული. კონსულტაციებს გვაქვს როგორც გუბერნიასთან, ასევე სამინისტროებთან. სტრუქტურა დასახვეწია. რაც შეეხება კონკურსით დანიშნულ თანამშრომლებს, მათთან მიმართებით კანონის შესაბამისად ვიმოქმედებთ. თუ წასვლის შესახებ განცხადებას დაწერენ, დაკმაყოფილდება. იმ შემთხვევაში, თუ კადრების შემცირება მოგვიწევს, ამის შესახებ წინასწარ გავაფრთხილებთ“,** — განაცხადა ხანდამაშვილმა.

თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს თავმჯდომარე **ირაკლი კაკულია** რეორგანიზაციას წარმომადგენლობით ორგანოში გეგმავს. საკრებულოში ამ დროისთვის დასაქმებული კადრები წინა მოწვევის საკრებულოს თანამშრომლები არიან.

კაკულია თანამშრომელთა ოპტიმიზაციას უახლოეს მომავალში აპირებს. დღესდღეობით ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს შვიდი თანაშემწე ჰყავს.

ახალციხის მუნიციპალიტეტის ახალმა ხელისუფლებამ კი თანამშრომლების შერჩევა უკვე დაიწყო. თვითმმართველობაში დასაქმებულთა ნაწილი სამსახურიდან გაუშვეს, ნაწილი კი პოზიციებზე დატოვეს.

პირველ პირთა გადაწყვეტილებას უკვე მოჰყვა ყოფილი საჯარო მოხელეების უკმაყოფილება. ადგილობრივი ოპოზიცია მიიჩნევს, რომ თვითმმართველობაში თანამშრომლებს პოლიტიკური შეხედულებების მიხედვით ნიშნავენ და ათავისუფლებენ. რადიო „თავისუფლების“ ინფორმაციით, საკრებულოსა და მერიის ყოფილი თანამშრომლების ნაწილი სასამართლოში ჩივილს აპირებს. რეორგანიზაციას გამოეხმაურნენ „ევროპული საქართველოს“ წევრებიც. საკრებულოს დეპუტატმა და ადგილობრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელმა გელა დემეტრაძემ საკადრო პოლიტიკისადმი ადგილობრივი ხელისუფლების მიდგომა გააპროტესტა.

ქალაქის მერი **ზაზა მელიქიძე** კი უარყოფს ოპოზიციისა და ყოფილ თანამშრომელთა ბრალდებას და აცხადებს, რომ კადრები კვალიფიკაციისა და გამოცდილების მიხედვით შეირჩა.

გეძა დანელია

უზედამხედველო ბაზრების ქვეყანა

წლების მანძილზე, როცა კი ქვეყნის ეკონომიკაში ბაზრის ყველა სუბიექტისთვის თანასწორუფლებიანი გარემოს შექმნის აუცილებლობაზე გვქონდა ლაპარაკი, ამ მიზნის მისაღწევად ერთ-ერთ უმთავრეს გზად და ხერხად კონკურენციის სააგენტოს მძლავრი ინსტიტუციის ამოქმედება სახელდებოდა. საამისოდ კი მანამდე სათანადო საკანონმდებლო ბაზის შექმნა იყო აუცილებელი, რასაც წლების მანძილზე არა და არ დაადგა საშველი. მერე, როგორც იქნა, ეს პრობლემა გადაიჭრა და აი, 2014 წლის გაზაფხულზე „კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონი“ ძალაში შევიდა, რის შემდგომ მთავრობამ შესაბამისი სამსახურის დებულება, საშტატო განრიგი და ა.შ. დაამტკიცა.

მოკლედ თუ ვიტყვით, კონკურენციის სააგენტო — ესაა საჯარო სამართლის დამოუკიდებელი იურიდიული პირი, რომლის თავმჯდომარე უშუალოდ პრემიერ-მინისტრის წინაშეა ანგარიშვალდებული (**თუმცა კი ამ უკანასკნელთან დაკავშირებით საკანონმდებლო ბაზაში სრული გაურკვევლობაა!**)



სააგენტოს წინაშე მდგარ მიზნებზე ბევრი რომ არ ვილაპარაკოთ, უბრალოდ აღვნიშნავთ, რომ მისი საქმიანობა იმაზეა მიმართული, რომ უკლებლივ ყველა სასაქონლო თუ მომსახურების ბაზარზე მოღვაწე აბსოლუტურად ყველა სუბიექტს თანასწორუფლებიან პირობებში მოღვაწეობის უფლება უნდა ჰქონდეს. სააგენტომ უნდა უზრუნველყოს ყველა ეკონომიკური აგენტისთვის ადმინისტრაციული, სამართლებრივი და დისკრიმინაციული ბარიერის მოშლა, რაიმე სახეობის არამართლზომიერი შეზღუდვის დაუშვებლობა, ასევე მთელი ამ პროცესის გამჭვირვალობისა და საჯაროობის უზრუნველყოფა.

იმის მიუხედავად, რომ, როგორც უკვე ვთქვით, ევროპულის ანალოგი ჩვენებური კონკურენციის სააგენტოს საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების ამბავი, ცოტა არ იყოს, გაურკვევლობის ბურუსითაა მოცული, ხოლო რაც შეეხება მისი საქმიანობის გამჭვირვალობასა და საჯაროობას, ამ მხრივ, ორგანიზაციას მაინცდამაინც არც არაფერი აქვს სატრაბახო და გამოსაქვეყნებელი. 2015-2017 წლებში კონკურენციის სააგენტომ, რომლის შტატში ოთხ ათეულზე მეტი კაცია დასაქმებული, რომელთან მარტო შრომის ანაზღაურებაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან 3,6 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა (თანამშრომელთა საშუალო ყოველთვიური ანაზღაურება წლეულს 2600 ლარზე მეტს შეადგენს!), ბაზარზე ეკონომიკური სუბიექტებისთვის თანასწორუფლებიანი გარემოს შესაქმნელად მეტ-ნაკლებად ქმედითი ღონისძიებები არ ჩაუტარებია(?!), სააგენტოს მთავარ სამოქმედო არეალს უმეტესწილად ნაკლებად მნიშვნელოვან ბაზრებზე არსებული ვითარების შესწავლა წარმოადგენს.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს კონკურენციის სააგენტოს საქმიანობის ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი ნაკლოვანება — მისი მუშაობის ფინანსური მდგენელი (რაც აუცილებლად არის დასავლეთის ქვეყნების ანალოგიური სამსახურების ანგარიშების განუყოფელი ნაწილი), ფაქტობრივად, არ არსებობს. ამის მიზეზი კი მარტივზე მარტივია: ამ მხრივ ეს მაკონტროლებელი უწყების ეფექტიანობა, პრაქტიკულად, ნულის ტოლია. თვალნათლივობისთვის იმის თქმა შეიძლება, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობების დადგენილი დარღვევების შედეგად, მთელი რიგი პოსტსაბჭოთა, მათ შორის ბალტიისპირეთის ქვეყნებში მოქმედი მონათესავე სტრუქტურები დამნაშავე ეკონომიკურ სუბიექტებს აჯარიმებენ, რის შედეგად ერთბაშად ორი უმნიშვნელოვანესი მიზანი მიიღწევა: **ერთი** — კონკურენტულ ბაზარზე ყველა მეწარმე სუბიექტი გაცილებით კონკურენტუნარიან პირობებში დგება, რაც მისი განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი პირობაა, **მეორეც** ის, რომ ამ გზით სახელმწიფო ბიუჯეტი ივსება, ხოლო **მესამე** მიზანი ისეთი პროზაულია, როგორც საკუთარი ხარჯის არათუ ამოღება, არამედ „პლუსშიც წასვლა“.

მსგავსი შედეგის მისაღწევად, პირველ ყოვლისა, აქტიური მუშაობა სწორედ იმ ბაზრებზეა საჭირო, სადაც წინდაწინვე საფუძვლიანი ეჭვი არსებობს, რომ საქმე არათანაბარ კონკურენტულ გარემოსთან, მაშასადამე მოქმედი კანონმდებლობის დარღვევასთან გვაქვს. მაგალითისთვის ერთი საკმაოდ დიდი ხნის წინათ დაწყებული ამბის მოტანა შეიძლება, რომელიც საქართველოს მხარეებში მცირე ინტერნეტ-პროვაიდერების აშკარად ჩაგვრის გარემოებებს ეხება, როცა ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის მომხმარებლამდე მიყვანას ყველანაირად ეწინააღმდეგება ბაზრის მონოპოლისტი კომპანია. საქმე ისაა, რომ მომხმარებლამდე ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის მისაყვანად, ანუ ინტერნეტის ქსელში მოსაქცევად, კომპანიებს ბოძები სჭირდებათ, რომლებიც ამჟამად კომპანია „ენერგო პრო-ჯორჯიას“ საკუთრებას წარმოადგენენ, თუმცა კი კომპანიაში თავის მხრივ აცხადებენ, რომ აღნიშნული ბოძებით სარგებლობის ექსკლუზიური უფლება მათ თავის დროზე კომპანია „დელტაკომს“ გადასცეს, რომელიც შემდგომ ბაზრის უდიდესმა კომპანია „მაგთიკომმა“ შეიძინა... ისმება კითხვა: რატომ მისცემს „მაგთიკომი“ თავისი ტექნიკური ბაზის გამოყენების უფლებას კონკურენტებს, თუმცა კი ამის გაკეთებას რაიმე ტექნიკური დაბრკოლება არა აქვს? ცხადია, რომ მას ეს არაფერში სჭირდება, რადგან საკუთარი ინტერესების სადარაჯოზე დგას. არადა, ეს საკითხი აშკარად კვალიფიციურ და მიუკერძოებელ შესწავლას მოითხოვს, თუმცა კი ამის თაობაზე რამდენიმე მცირე ინტერნეტ-პროვაიდერი კომპანიის მიმართვაზე, კონკურენციის სააგენტომ უარი განაცხადა. არადა, ამ საქმეში ფაქტობრივად, სამი სახელმწიფო მარეგულირებელი სუბიექტი ჩანს — სემეკი, კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისია და კონკურენციის სააგენტო, თუმცა კი პრობლემა კვლავაც გადაუჭრელი რჩება.

ამ უკანასკნელის საქმიანობაზე უფრო სრული სურათის წარმოსაჩენად კი იმის თქმა შეიძლება, რომ 2015 წლის შემდეგ მისი ყველაზე „რიხიანი“ საქმე ის იყო, რომ სამი წლის წინათ სამამულო ნავთობკომპანიების ჯგუფი 54 მილიონი ლარით დააჯარიმა საწვავის ფასების საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ სამწუხარო ისაა, რომ ამ მილიონებიდან სახელმწიფოს ბიუჯეტში დღევანდლამდე ერთი თეთრიც არ შესულა, თავად საქმე კი მეორე ინსტანციის სასამართლოშია „გაჭედილი“ და რა შედეგი მოჰყვება ყოველივე ამას, კაცმა არ იცის.

ოთარ ტურაბელიძე

„უცნობის“ სიძის საყვედური

გია გაჩეჩილაძის სიძე, რომლის კომპანიასაც სამართლებრივი დავა აქვს კარტერულ გარიგებებზე, ამბობს, რომ პრემიერისა და მინისტრთა კაბინეტის წევრების პოლიტიკური განცხადებები ზეწოლაა სასამართლოსა და გამოძიებაზე.

მისი თქმით, მათ ერთადერთი მოთხოვნა აქვთ, გამოძიება იყოს ობიექტური და ისინი არ ითხოვენ ვინმეს გადადგომას. გიორგი შარაშიძე „პირველ რადიოსთან“ საუბრისას აცხადებს, რომ მათ ერთადერთი მარტივი მოთხოვნა აქვთ, თავი შეიკავონ მაღალი რანგის პოლიტიკურმა ფიგურებმა ამ საკითხზე მკვეთრი განცხადებების გაკეთებისგან.

„უმარტივეს რამეს ვითხოვთ, სანამ არ დამთავრდება გამოძიება, წინასწარ ნუ გააკეთებენ მძაფრ, მკაფიო და მიმანიშნებელ განცხადებებს.

არ მგონია, რომ ჩვენი სამართლებრივი სისტემა მზად იყოს იმისთვის, რომ ამხელა წნეხს გაუძლოს. სანამ გამოძიება არ შესულა ძიებაში და ამ დროს პრემიერი ამბობს, რომ გადავდგებიო ეს ხომ მესიჯია? ეს ნებსით გააკეთა თუ უნებლიეთ ცალკე საკითხია. სპორტისა და კულტურის მინისტრმა ეს კიდევ უფრო განავრცო და იუსტიციის მინისტრმაც გააკეთა განცხადება.

ჩვენ ხომ არ გაგვიკეთებია განცხადება, რომ ვინმე გადადგეს-გადმოდგეს, რა საჭიროა ამ თემის ამ სიმაღლეზე აყვანა, თუ ეს არ არის ზეწოლა? ვითხოვთ, ნუ გაუკეთებენ ზეწოლას იმ სტრუქტურებს და მითუმეტეს სასამართლოს თავისი განცხადებებით.

ჩვენ ვართ კომპანია, რომელიც თავს დაჩაგრულად გრძნობს და გვაქვს სამართლიანობის იმედი, ის ხალხი უნდა იყოს ამის გარანტი, რომელიც ახლა გამოდის და პოლიტიკურ შეფასებას აკეთებს. მათ წინასწარ არ უნდა გვითხრან, ჩვენ მტყუანები ვართ თუ მართლები.

სულ რომ ჩვენ დამნაშავეები ვიყოთ, ეს არ ხსნის იმ განცხადებებს, რომელსაც აკეთებს მინისტრთა კაბინეტი. ჩვენ არ გამოვედით და არ მოვითხოვეთ ვინმეს გადადგომა , ჩვენ ავირჩიეთ სამართლებრივი გზა,“ — ამბობს შარაშიძე „პირველ რადიოსთან“ საუბრისას.

თამარ მეფე ქმრებზე გამარჯვებულ სამეფო წარმომავლობის ექვს ქალს შორის დასახელდა

თამარ მეფე მსოფლიოს სამეფო წარმომავლობის იმ ექვს ქალს შორის მოხვდა, რომელიც გავლენიანმა ამერიკულმა ტელეარხმა „History"-მ ქმრებზე გამარჯვებულ ქალებად დაასახელა. „თამარ მეფე მრავალი პოლიტიკოსი ქალის შთაგონების წყაროდ იქცა. მისი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი თაყვანისმცემელი ჰილარი კლინტონია", — ნათქვამია ტელეკომანიის მიერ თავის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ სტატიაში და იქვე აღნიშნულია, რომ ყველა სამეფო ქორწინება არც ისე ბედნიერი იყო. „ისინი ებრძოდნენ ლოთ ქმრებს, უსიყვარულო ქორწინებებს, კლავდნენ მეუღლეებს, ხელმძღვანელობდნენ აჯანყებებს ან მშვიდად ელოდნენ როდის გაუღიმებდათ ბედი. სწორედ ასეთ ქალებს შესწევდათ უნარი, თავად ემართათ საკუთარი ბედი."

თამარ მეფე

თამარი საქართველოს მეფის გიორგი მესამის ერთადერთი ქალიშვილი იყო. 1178 წელს მამამ ის თავის თანამოსაყდრედ გამოაცხადა და მასთან ერთად მართავდა ქვეყანას. გიორგი მესამის გარდაცვალების შემდეგ, თამარი ავიდა გაერთიანებული საქართველოს სამეფოს ტახტზე და კიდევ უფრო განიმტკიცა მმართველობა და ძალაუფლება.

1187 წელს, თამარი, მისი ძლევამოსილი მამიდის რუსუდან ბაგრატიონის დაჟინებული მოთხოვნით დაქორწინდა ნოვგოროდის პრინცზე იური ბოგოლუბსკიზე. მათი ქორწინება წარუმატებელი აღმოჩნდა მეფის მეუღლის უმსგავსო ქცევების გამო. მას შემდეგ, რაც ბოგოლუბსკიმ მეუღლეს საჯაროდ უსაყვედურა იმის გამო, რომ ამ დრომდე მემკვიდრე არ გაუჩინა, თამარ მეფე გაშორდა მეუღლეს და მდიდრულ გადასახლებაში გააგზავნა. ამის შემდეგ თამარ მეფე მეორედ დაქორწინდა და ორი შვილი შეეძინა.

ნოვგოროდელი პრინცი ადვილად არ შეურიგდა სამეფო კარიდან გაძევებას და თამარ მეფის წინააღმდეგ ორჯერ გაილაშქრა, მაგრამ სასტიკი მარცხი იწვნია. ბოგოლუბსკის კვალი მალევე წაიშალა ისტორიიდან, თამარ მეფე კი დღემდე ერთ-ერთ უდიდეს ქართველ მმართველად ითვლება. ის 1213 წელს გარდაიცვალა. თამარ მეფე საქართველოს ეკლესიის მიერ წმინდანად იქნა შერაცხილი.

თამარ მეფე მრავალი პოლიტიკოსი ქალის შთაგონების წყაროდ იქცა. მისი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი თაყვანისმცემელი ჰილარი კლინტონია.

ეკატერინე დიდი

რუსეთის იმპერატორის პეტრე მესამის მეუღლე, რომელიც 34 წლის განმავლობაში მართავდა რუსეთის იმპერიას. საქმროსთან პირველი შეხვედრით მოხიბლულ ეკატერინეს, იმედები მალე გაუცრუვდა, გარდა იმისა, რომ პეტრე

მესამე მთელი დღეების განმავლობაში მხოლოდ სათამაშო ჯარისკაცებით ერთობოდა, უგულებელყოფდა ეკატერინეს და ძალადობდა კიდეც მასზე.

„იმპერატრიცა" ელისაბედის გარდაცვალების შემდეგ, როდესაც ტახტზე პეტრე მესამე ავიდა, ყველასთვის ცხადი გახდა, რომ გონებასუსტი მმართველი ქვეყანას დაღუპვის პირამდე მიიყვანდა. ეკატერინე სათავეში ჩაუდგა გადატრიალებას, ტახტიდან ჩამოაგდო მეუღლე და ციხეში გამოკეტა, სადაც მოგვიანებით, სწორედ მისი ბრძანებით მოკლეს კიდეც.

1761 წლიდან დაიწყო მისი ხანგრძლივი მმართველობის ერა, რომელიც გაგრძელდა მის გარდაცვალებამდე, 1796 წლამდე. მან ისტორიაში დაიმკვიდრა განმანათლებელი

„კეთილგანწყობილი დესპოტი" მონარქის სახელი.

დედოფალი იზაბელა
საფრანგეთის ქალი მგელი კაპეტინგეების დინასტიიდან

ინგლისის მეფე ედუარდ მეორის ცოლი. 12 წლის იზაბელასთვის ქორწინების ღამე ძალიან მძიმე აღმოჩნდა, რადგან მეფე მთელი საღამოს განმავლობაში მხოლოდ საყვარელთან ურთიერთობით იყო დაკავებული.

ედუარდთან ფორმალური მეგობრული ურთიერთობის მიუხედავად, მას ძალიან აწუხებდა მისი ქმრის ურთიერთობები საყვარლებთან. მოგვიანებით მან სთხოვა მეუღლეს, გაეგზავნა საფრანგეთში დიპლომატიური მისიით, საიდანაც მან მეუღლის წინააღმდეგ დიდგვაროვნების აჯანყების ორგანიზება მოახერხა.

მალევე ის შეიჭრა ინგლისში, რის პარალელურადაც ინგლისის პარლამენტმა ტახტიდან ჩამოაგდო ედუარდ მეორე. სამეფო ტახტი მათმა შვილმა ედუარდ მესამემ დაიკავა, რომლის რეგენტიც გახდა დედოფალი იზაბელა. სრულწლოვანების მიღწევისთანავე ედუარდ მესამემ სიკვდილით დასაჯა დედოფლის მოკავშირე ბარონი როჯერ მორტიმერი, ხოლო იზაბელას სამუდამო შინაპატიმრობა მიუსაჯა.

როდესაც იზაბელა გარდაიცვალა, ის დაკრძალეს საქორწინო სამოსით, რომელიც ეცვა ედუარდ მეორესთან ქორწინების დღეს. გადმოცემის თანახმად, იზაბელას თხოვნით, ზარდახშაში განთავსებული მეუღლის გულიც მასთან ერთად დაკრძალეს. თუმცა ეს მხოლოდ ლეგენდაა.

ანა კლეველი
ჰენრი VIII ტიუდორის მეოთხე ცოლი

გავლენიანმა ამერიკულმა ტელეარხმა და ონლაინ გამოცემამ „History", თავის ვებგვერდზე გამოაქვეყნა ინფორმაცია სამეფო წარმომავლობის 6 ქალის შესახებ, რომლებმაც თავიანთ ქმრებზე ტრიუმფალური გამარჯვება მოიპოვეს. ექვსეულში თამარ მეფეც მოხვდა.

ანა კლეველისა და ჰენრი ტიუდორის პოლიტიკური ქორწინება ჰანს ჰოლბეინის მიერ იდეალურად შესრულებული ანას პორტრეტის წყალობით შედგა. 1539 წელს ის სამშობლოდან, გერმანიიდან ინგლისს გაემგზავრა, სადაც როჩესტერის ციხე-სიმაგრეში დაიდო ბინა. მომავალი მეუღლის გარეგნობით შეცბუნებულმა ჰენრი მერვემ თავის მინისტრებს განუცხადა — „მე ის არ მომწონს". ამას ისიც დაემატა, რომ ანა კლეველი მხოლოდ გერმანულად საუბრობდა, ჰენრის კი გერმანულად ერთი სიტყვაც არ ესმოდა. მიუხედავად ამისა, ისინი 1540 წელს მაინც დაქორწინდნენ, თუმცა იმავე წელს განქორწინდნენ.

განქორწინების შემდეგ, ანას და ჰენრის ურთიერთობა მეგობრული გახდა. სიცოცხლის ბოლომდე ჰენრი ტიუდორი ანა კლეველის მიმართ უდიდეს პატივისცემას იჩენდა და სასახლის კარზეც მიღებული იყო.

ჰენრისთან განქორწინების შემდგომ მას დიდი ქონება და მამულები გადაეცა, მას სიცოცხლის ბოლომდე მოიხსენიებდნენ როგორც ჰენრის საყვარელ ქალს. იგი დაესწრო ედუარდ VI-ის და მერი I-ის კორონაციას, იგი ასევე მოესწრო ჰენრის და მისი ყველა ცოლის გარდაცვალებას. მან სიცოცხლეში სამი რელიგია შეიცვალა — ლუთერანიზმი, ანგლიკანიზმი და კათოლიციზმი.

კაროლინა ბრაუნშვეიგი
უგვირგვინო დედოფალი

კაროლინა ბრაუნშვეიგი და გაერთიანებული სამეფოს მონარქი ჯორჯ მეოთხე პირველად ერთმანეთს წმინდა ჯეიმსის სასახლეში, ქორწინების დღეს შეხვდნენ. სამეფო წყვილი ერთმანეთით არ აღფრთოვანებულა, ჯორჯ მეოთხე მეუღლეს გონჯს და ბინძურს ეძახდა, ხოლო კაროლინა გაოცებული აღნიშნავდა, რომ მის მეუღლეს არაფერი ეცხო იმ სიმპათიური ადამიანისა, რომელიც მას პორტრეტზე ენახა.

არანაკლებ უსიამოვნო გამოდგა მათი პირველი ღამე, რომელიც ჯორჯის სიმთვრალის გამო წარუმატებლად დასრულდა. ქორწინებიდან მეცხრე თვის თავზე სამეფო წყვილს შეეძინა ქალიშვილი შარლოტა. ამ დროისთვის ცოლ-ქმარი უკვე განცალკევებით ცხოვრობდა. კაროლინამ საყვარელიც კი გაიჩინა, იტალიელი ბართოლომეო პერგამი,

რომელთან ერთადაც იმოგზაურა ევროპის გარშემო.

1820 წელს გარდაიცვალა ჯორჯის მამა, მეფე ჯორჯ მესამე. სამეფო ტახტზე ჯორჯ მეოთხე ავიდა, ამ წუთიდან, ფორმალურად, კაროლინაც გაერთიანებული სამეფოს დედოფალი ხდებოდა, თუმცა მეფემ ამცნო მთელ ქვეყანას, რომ კაროლინა მისი დედოფალი არ იქნებოდა.

1821 წლის ივლისში კაროლინა ეცადა, ხელი შეეშალა ჯორჯ მეოთხის კორონაციისთვის და ამ მიზნით ვესტმინსტერის სააბატოს კარიბჭესთან დახვდა მეფეს, თუმცა მისი მცდელობა ამაო აღმოჩნდა. ერთი თვის შემდეგ კაროლინა გარდაიცვალა. გარდაცვალების შემდეგ, საკუთარი საფლავის ეპიტაფიით — „აქ განისვენებს კაროლინა, ინგლისის გულნატკენი დედოფალი", მან მაინც მოახერხა შური ეძია ჯორჯ მეოთხეზე.

ლედი დიანა
ხალხის პრინცესა

ლედი დიანა სპენსერი ბრიტანეთის სამეფო ოჯახს 19 წლის ასაკში შეუერთდა, როდესაც ცოლად გაჰყვა ტახტის მემკვიდრე ჩარლზ უინძორს. აშკარა იყო, რომ სამეფო წყვილს ერთმანეთის მიმართ რომანტიკული გრძნობები არ აკავშირებდა.

პრინცი ჩარლზი ქორწინების მიუხედავად, ურთიერთობას აგრძელებდა კამილა ბარკერ ბოულზთან. პრინცესა დიანა მეუღლის გამუდმებულმა ღალატმა დეპრესიამდე მიიყვანა. თუმცა საზოგადოების წინაშე პრინცესა განაგრძობდა ძლიერი და ბედნიერი ქალის იმიჯის შენარჩუნებას. ის საყოველთაო სიყვარულის სამიზნე იყო, მას აღმერთებდნენ. მისმა ერთ-ერთმა ინტერვიუმ მნიშვნელოვნად დააზიანა პრინცი ჩარლზის რეპუტაცია.

გარდაცვალებიდან 20 წლის შემდეგ, ლედი დიანას მიმართ სიყვარული არ განელებულა, რასაც ვერ ვიტყვით პრინც ჩარლზე, რომლის რეიტინგი დღითი დღე კლებულობს. ამბობენ, რომ დედოფალი ელისაბედის სიკვდილის შემდეგ, ტახტი არა ჩარლზს, არამედ მის ვაჟს პრინც უილიამს გადაეცემა.

http://ghn.ge

ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲘ ᲮᲔᲓᲕᲔᲑᲘᲡ ᲜᲝᲡᲢᲐᲚᲒᲘᲗ ᲒᲐᲛᲗᲑᲐᲠᲘ...

ᲒᲘᲕᲘ ᲗᲝᲘᲫᲘᲡ ᲜᲐᲛᲠᲐᲕᲚᲘ

ᲫᲕᲔᲚᲘ თბილისის ხედები, ამერ-იმერი საქართველოს თვალწარმტაცი პეიზაჟები, მსოფლიოს მრავალი ქალაქის ქუჩებში დანახული საყოფაცხოვრებო სცენები, კიდევ შესანიშნავი პორტრეტები, ნატურმორტები, ჟანრული ჩანახატები, მრავალფიგურიანი კომპოზიციები და მონუმენტური მხატვრობა — ეს, ზოგადად, მხატვრული მიმდინარეობების ის სახეობებია, რომლებსაც ამ დღეებში საქართველოს ეროვნული მუზეუმის დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა მასპინძლობს, სადაც ჩვენი სახელოვანი მხატვრის ᲒᲘᲕᲘ ᲗᲝᲘᲫᲘᲡ 85 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო-რეტროსპექტიული გამოფენაა მოწყობილი.

გივი თოიძის უდიდესი მხატვრული პოტენციალის სათავე უდავოდ თავისი სახელოვანი ბაბუის, დიდი ქართველი ფერმწერის მოსე თოიძის არაჩვეულებრივი ნიჭიერებიდან და წიაღიდან მოედინება. სამხატვრო ასპარეზზე იგი იმ დიდებულ ქართველ შემოქმედთა გამორჩეული წარმომადგენელია, რომლებიც სამამულო სახვითი ხელოვნების ასპარეზზე გასული საუკუნის 60-იან წლებში გამოვიდნენ. მისი მხატვრული მსოფლმხედველობის თემატურმა და ჟანრობრივმა მრავალმხრივობამ, სხვადასხვა სამხატვრო ტექნიკით — ტემპერით, გუაშით, ზეთის, აკრილისა და პასტელის საღებავებით, სანგინით გამოსახულმა უაღრესად თვითმყოფადმა ნამუშევრებმა იმთავითვე მიიპყრეს როგორც პროფესიონალთა, ასევე ნატიფი ხელოვნების ტრფიალთა ყურადღება.

ცალკე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ გივი თოიძის შემოქმედებაში უდიდესი ადგილი უკავია საქართველოსა და თბილისის ჭირვარამიან წარსულსა და ისტორიას, რაც მხატვარს ერთგვარი ისტორიული მემატიანის აურას სძენს. განსაკუთრებით გულდასაწყვეტი კი ისაა, რომ მის ფერწერასა თუ გრაფიკულ ნამუშევრებში ასახული ძველი თბილისის უბნების — ხარფუხის, აბანოთუბნის, ჩუღურეთის, რიყის, სოლოლაკისა თუ ვერის განუმეორებელი ხედები ამჟამად უკვე სამუდამოდ დაკარგულ სიმდიდრეთა გაუთავებელ ნუსხაშია მოხვედრილი.

მეტად სასიხარულოა, რომ ამაგდარი შემოქმედი დღესდღეობით ჭარმაგად არის და კვლავაც განაგრძობს ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში. მისი შემოქმედება სათანადოდაცაა დაფასებული — საქართველოს სახალხო მხატვარ გივი თოიძეს მინიჭებული აქვს შოთა რუსთაველისა და დავით კაკაბაძის სახელობის სახელმწიფო პრემიები, იგი თბილისის საპატიო მოქალაქეა, არის ღირსების ორდენის კავალერი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სამხატვრო აკადემიის პროფესორი, მინიჭებული აქვს კულტურის რაინდის წოდება.

ბატონი გივი თოიძის საიუბილეო პერსონალური გამოფენის გახსნას დიდძალი ხალხი დაესწრო, რომელთა შორის იყო ჩვენი საზოგადოების მრავალი გამორჩეული წარმომადგენელი — უფროსი და საშუალო თაობის მხატვრები, არქიტექტორები, სამხატვრო აკადემიის სტუდენტები, ხელოვნების მოყვარულები.

მამის იუბილეზე საგანგებოდ ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატებიდან მისი ერთ-ერთი ქალიშვილი თეა თოიძე თავის ქალიშვილთან ერთად, აქვე იყო მხატვრის მეორე ქალიშვილი მაიაც — ორივე მამის კვალს მიჰყვება, დიდებული მხატვრები არიან...

მისასალმებელ სიტყვაში კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა, ბატონმა **მიხეილ გიორგაძემ** გულთბილი სიტყვები არ დაიშურა სახელოვანი შემოქმედის მიმართ, რომლის ნამუშევრები დაცულია მსოფლიოს არაერთ ცნობილ სამხატვრო გალერეაში, მათ შორის მოსკოვის ტრეტიაკოვის გალერეასა და აღმოსავლეთის ქვეყნების ხალხთა მუზეუმში, გერმანიის პიტერ ლუდვიგის გალერეაში, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, კანადის, საფრანგეთის, ესპანეთის, უნგრეთისა და სხვა საზოგადოებრივ თუ კერძო სამხატვრო კოლექციებში.

გივი თოიძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა 16 იანვრამდე გასტანს.

ᲓᲐᲚᲘ ᲮᲣᲜᲓᲐᲫᲔ
ᲔᲚᲒᲣᲯᲐ ᲜᲐᲓᲐᲠᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲒᲘᲝᲠ�გᲐᲫᲔ, ᲒᲘᲕᲘ ᲗᲝᲘᲫᲔ



ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝ ᲘᲣᲡᲢᲘᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕ ᲪᲔᲜᲢᲠᲔᲑᲨᲘ ᲘᲜ�გᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲔᲜᲘᲡ ᲙᲚᲣᲑᲔᲑᲘ ᲮᲡᲜᲘᲡ

ᲘᲣᲡᲢᲘᲪᲘᲘᲡ სამინისტროს 6 საზოგადოებრივ ცენტრში ინგლისური ენის კლუბები ამოქმედდება. ორსანტიის, ჩაქვის, დიდი ჯიხაიშის, კაბალის, წალკისა და ვალეს ახალგაზრდები ინგლისური ენის შესწავლას ბრიტანეთის საბჭოს ორგანიზებით შეძლებენ. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს ხელი მოაწერეს უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის — „ბრიტანეთის საბჭო საქართველოში“ — დირექტორმა ზაზა ფურცელაძემ, იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა და განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა.

მემორანდუმის თანახმად, ბრიტანეთის საბჭო საქართველოს 6 სოფელში ინგლისური ენის სწავლებისათვის იუსტიციის სამინისტროს სოფლად არსებულ თანამედროვე ინფრასტრუქტურას გამოიყენებს. აქ გაიხსნება ინგლისური ენის კლუბები, რომლებსაც ბავშვები სრულიად უსასყიდლოდ დაესწრებიან, ისარგებლებენ ცენტრში არსებული წიგნებით, ონლაინ რესურსებით, აუდიო თუ ვიდეომასალით, მონაწილეობას მიიღებენ ინგლისური ენის კონკურსებში.

6 საზოგადოებრივი ცენტრი სხვადასხვა ნიშნით შეირჩა: ორსანტია ოკუპირებულ ტერიტორიასთან ახლოს მდებარეობს, კაბალი და წალკა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რაიონებია, დიდი ჯიხაიში იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტური ჩასახლების ადგილია, ვალე სასაზღვრო ზონაში მდებარეობს, ჩაქვი კი, ტურისტულად აქტიური რაიონია.

საზოგადოებრივი ცენტრები უმასპინძლებენ ინგლისური ენის მასწავლებლებსაც. ბრიტანეთის საბჭო მათ პროფესიულ განვითარებაზეც იზრუნებს — სპეციალურად მათთვის მოწყობილ ტრენინგებსა და სემინარებს პედაგოგები სოფლებიდან გაუსვლელად საზოგადოებრივ ცენტრებში დაესწრებიან.

ᲡᲘᲛᲤᲝᲜᲘᲣᲠᲘ ᲝᲠᲙᲔᲡᲢᲠᲘᲡ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲖᲔ ᲑᲘᲚᲔᲗᲘ 595 ᲚᲐᲠᲘ ᲔᲦᲘᲠᲔᲑᲐ

24 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ ბიოლი ჰოლში ნიკოლოზ რაჭველი და ეროვნული სიმფონიური ორკესტრი ბოლო წლების ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული პროექტის, „მსოფლიო კინომუსიკის შედევრების“ განახლებულ ვერსიას წარადგენენ.

კინომუსიკის შედევრების მოსმენის პარალელურად, ეკრანზე მაყურებელი იხილავს ფრაგმენტებს მრავალი ჯილდოს მფლობელი ფილმებიდან. მათ ყურადღებას ასევე მიიპყრობს ამონარიდები ცნობილი ქართული ფილმებიდან და დიდი ქართველი არტისტების პორტრეტები.

შესრულდება რამდენიმე მუსიკალური ნომერი, მათ შორის გია ყანჩელის „ის აქ არის“ ფილმიდან „შერეკილები“, ნიკოლოზ რაჭველი კი მოგვითხრობს მსოფლიოში სახელგანთქმული კინომოღვაწეებისა და დიდი ავტორების შესახებ.

ბილეთის ფასი 595 ლარი იქნება, რომელშიც კონცერტი, სადღესასწაულო ვახშამი და ღვინო შევა.



რატომ სძულთ ერთმანეთი პუტინსა და სააკაშვილს

ალექსი ბენედიქტოვი: სააკაშვილმა მითხრა, პუტინთან შეხვედრის წინ ეკლესიაში წავედი და ვილოცეო!..

რადიოსადგურ „ეხო მოსკვის“ მთავარმა რედაქტორმა ალექსი ბენედიქტოვმა ამავე რადიოსადგურის პროგრამა „ოსობოე მნენიე“-ს („განსაკუთრებული აზრი“) წამყვან ნინო როსებაშვილთან ისაუბრა, სადაც მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო 14 დეკემბერს გამართულ რუსეთის პრეზიდენტის „დიდი პრესკონფერენციის“ თემებს, მათ შორის ვლადიმერ პუტინისა და მიხეილ სააკაშვილთან ურთიერთდამოკიდებულების საკითხს. როგორც ცნობილია, პრესკონფერენციაზე ვლადიმერ პუტინმა მიხეილ სააკაშვილი ძალზე ნეგატიურად მოიხსენია.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ ალექსი ბენედიქტოვის თვალსაზრისს, რომელიც მან ნინო როსებაშვილის შეკითხვებზე პასუხის გაცემისას გამოხატა:

— რატომ სძულს ასე ძალიან ვლადიმერ პუტინს მიხეილ სააკაშვილი?

— მათ ურთიერთსიძულვილს დიდი ხნის ისტორია აქვს. მახსოვს, როცა მიხეილ სააკაშვილი საქართველოს პრეზიდენტის რანგში რუსეთში პირველად ჩამოვიდა. მას ჰქონდა შეხვედრა, რომელსაც ჟურნალისტთა ვიწრო წრე ესწრებოდა. ჩვენ, მოსკოველი ჟურნალისტები ხშირად ვხვდებოდით ხოლმე სხვადასხვა პოლიტიკურ ლიდერებს ვიწრო წრეში. ჰოდა, იმ შეხვედრაზე მიხეილ სააკაშვილი მეუბნება - იცი, ვლადიმერ პუტინთან შეხვედრის წინ მე მოსკოვის ეკლესიაში წავედი და ვილოცე, რომ ჩვენი ურთიერთობა მოგვარდესო. მაგრამ ფაქტია, მიხეილ სააკაშვილმა, პოსტსაბჭოთა დამოუკიდებელი რესპუბლიკებიდან (თუ არ ჩავთვლით ბალტიისპირეთს) პირველმა აიღო გეზი საქართველოს რუსეთისაგან სრული ჩამოცილების მიზნით. მან ეს ძალიან ხისტი სახით, მკვეთრად გააკეთა. ვლადიმერ პუტინმა, ჩემი აზრით, ასეთი ნაბიჯი ღალატად მიიჩნია: როგორ, ქართველები მართლმადიდებლები არიან, 200 წლის მანძილზე ერთად ვიყავით, გეორგიევსკის ტრაქტატი და ა.შ. და ამ დროს საქართველოს პრეზიდენტმა ყველაფერს ხაზი გადაუსვა და კურსი ჩრდილოატლანტიკური ალიანსისაკენ აიღო. პრინციპში, იგი ამას არც მალავდა. გარდა ამისა, ვფიქრობ, მიხეილ სააკაშვილი კერძო საუბრებში ვლადიმერ პუტინს საკმაოდ არასასიამოვნო ეპითეტებით მოიხსენიებდა. ეს ყველაფერი რუსეთის პრეზიდენტს მაგიდაზე დაუდეს. ვიცი, რომ მიხეილ სააკაშვილი ძალიან ხშირად უხეშობს და კავკასიური ტემპერამენტით პირად საუბრებში ვლადიმერ პუტინს ლანძღავს და აგინებს. ეს ჩემი ვარაუდებია. მე მხოლოდ პუბლიკაციები მაქვს წაკითხული და არა მათი საუბრის ჩანაწერები. პრინციპში, ორივე პრეზიდენტის ურთიერთობა ათი წლის განმავლობაში ნეგატიური იყო. კიდევ ერთი მომენტი: მიხეილ სააკაშვილი ხელისუფლებაში გადატრიალების გზით მოვიდა, რაც ვლადიმერ პუტინისათვის მტკივნეულია...

— ძალიან მტკივნეულია?!

— ჰო მტკივნეულია, აბა რა. „მე უკვე ოთხჯერ მირჩევენ პრეზიდენტად, შენ კი ვინ მიგდიხარ, რომ ჩემზე ასეთებს ლაპარაკობ?“. ბოლო დროს გავრცელდა ინფორმაცია, რომ ვითომდა რუსეთმა მიხეილ სააკაშვილი მოისყიდა, ფულს აძლევს, რომ პეტრო პოროშენკო დაამხოსო. ჩემი აზრით, ეს შეუძლებელია ისევე, როგორც შეუძლებელია „შემწვარი ყინულის“ არსებობა. რა თქმა უნდა, თეორიულად ყველაფერი შეიძლება დავუშვათ, მაგრამ მიხეილ სააკაშვილის რუსეთის აგენტობა წარმოუდგენელია. თუმცა დღეს ვლადიმირ პუტინმა ზუსტად თქვა, რომ მიხეილ სააკაშვილი და ალექსი ნავალნი სახელმწიფოს არყევენო. ანუ ისინი არამზადები არიან. ჩვენ არ დავუშვებთ სახელმწიფოს რყევასო. ვლადიმერ პუტინისათვის პოლიტიკური ღალატი ძალიან მნიშვნელოვანია. არის საწინააღმდეგო ისტორიაც: მიხეილ სააკაშვილმა ერთხელ მითხრა — მე ჯორჯ ბუშთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს, ამიტომ (დსთ-ის) ხელშეკრულებიდან უნდა გავიდეო. იგი თავისი ქვეყნის ინტერესებისთვის მოქმედებდა. ვლადიმერ პუტინის გაგებით კი, ეს პოლიტიკური ღალატია.. ამიტომაც იგი მტკივნეულად განიცდის. მე ასე მგონია.

— მიხეილ სააკაშვილი, როგორც ჩანს, ვლადიმერ პუტინის პრესკონფერენციას ყურადღებით უსმენდა...

— კი, მათ ერთმანეთი „ძალიან უყვართ“.

— და როდის „გამოუტყდებიან“ ისინი ერთმანეთს „სიყვარულში“, ეს რთული საკითხია. თუმცა მიხეილ სააკაშვილი მაინც ამბობს, რომ მისი დაპატიმრება უკრაინის „ესბეუ“-სა და რუსული „ეფესბე“-ს ერთობლივი ოპერაციაა...

— ვერაფერს ვიტყვი. მე ის ვიცი, რომ მიხეილ სააკაშვილი პეტრო პოროშენკოს ოპონენტია და მისი მსხვილი კონკურენტი. მართალია, მას ჯერჯერობით უკრაინის პრეზიდენტად არჩევის უფლება არა აქვს, მაგრამ ეს არაფერია, რადგან თუ საჭიროა, კანონის შეცვლაც შეიძლება.

— როგორ უყურებთ იმ ისტორიას, რომელიც მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით ხდება?

— ძალიან ყურადღებით ვერ ვაკვირდები, თუმცა ბევრს ვკითხულობ. მე მგონია, რომ ამ ისტორიაში პეტრო პოროშენკო მართალი არ არის, ანუ კიევის ხელისუფლება შეცდომას უშვებს. მიხეილ სააკაშვილისათვის მოქალაქეობა არ უნდა ჩამოერთმიათ. მერე ამას სხვა შეცდომებიც მოჰყვა. ჩემი აზრით, თუ შენს წინაშე პოლიტიკური მოწინააღმდეგეა, მას პოლიტიკურად უნდა ებრძოლო. შეცდომა იყო მიხეილ სააკაშვილის ვაჟთან დაკავშირებით კიევის აეროპორტში მომხდარი ისტორია. რასაც ვლადიმერ პუტინი ალექსი ნავალნის უკეთებს, იმას უკეთებს პეტრო პოროშენკო მიხეილ სააკაშვილს.

— პროკურატურა მისთვის შინაპატიმრობას მოითხოვდა...

— პრინციპში, უკრაინული გაგებით, ცუდი არ უნდა ყოფილიყო... თუმცა მე რუსეთში ვცხოვრობ და მათ კანონებში ცუდად ვერკვევი.

„Радио „эхо москвы“

ისტორიამ მიშას უნდა გამოუტანოს სასჯელი, როგორც ტროცკისა და მუსოლინის!

„საქართველოში ექსტრადირების შემთხვევაში, ხალხი უმალ გამათავისუფლებდა“, — თავს ირწმუნებს მიხეილ სააკაშვილი „ექო კავკაზთან“ ინტერვიუში.

მისი აზრით, უკრაინის ხელისუფლებას საქართველოსთან ჩუმად მოლაპარაკება და მისი ექსტრადირება სურდა, მაგრამ ამით საქართველოს ხელისუფლებასაც გაუჩნდებოდა პრობლემები, იხილავდა რა ქართველი ხალხის მიერ გათავისუფლებულ სააკაშვილს, რომელიც პოროშენკოსთვის ათჯერ უფრო დიდი პოლიტიკური რისკფაქტორი გახდებოდა.

თავგაჩეხილი ტროცკი

ჯერა თუ არა სააკაშვილს თავისივე ნათქვამის, რომ ქართველი ხალხი მას გაათავისუფლებდა — ეს პოლიტიკური გემოვნების საკითხია, მაგრამ ფაქტია, რომ უცხოურ მედიაში თანდათან უფრო მტკიცდება აზრი, რომ სააკაშვილის ქცევა მისი ფსიქიკური სტაბილურობის შესახებ ეჭვს ბადებს. სულ ახლახანს სააკაშვილის მძიმე ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ კითხვები გაუჩნდა გამოცემას The National Interest.

სააკაშვილის ფსიქიკა კიდევ უფრო მეტი დაეჭვების საბაბს იძლევა, როცა განსასჯელის სკამზე მჯდომი ოდესის ყოფილი გუბერნატორი შორს მიმავალ გეგმებზე საუბრობს — „მზად ვარ, ავიღო პასუხისმგებლობა უკრაინის მთავრობაზე“.

პარალელურად, სააკაშვილის მსგავსად, უცნაურ განცხადებებს აკეთებენ ყოფილი და ამჟამინდელი „ნაციონალები“. „ევროპული საქართველოს“ წევრი სერგო რატიანი მიიჩნევს, რომ სააკაშვილი უნდა დაბრუნდეს საქართველოში და ამომრჩეველმა გადაწყვიტოს მისი მომავალი.

რისთვის ემზადება ოდესის ყოფილი გუბერნატორი და ვინ ელის სააკაშვილს საქართველოში?!

ექსპერტი **თორნიკე შარაშენიძე** საუბარში აცხადებს, რომ სააკაშვილის ექსტრადირება საქართველოში არ მოხდება. უკრაინა ამ ნაბიჯს არ გადადგამს, რადგან ეს დასავლეთთან მის ურთიერთობას ძალიან დააზარალებს, ხოლო სააკაშვილის ექსტრადირება საქართველოს მთავრობას არაფერში აწყობს.

„მართალია, მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, რომ, თუ საქართველოში მისი ექსტრადირება მოხდება, ხალხი მას გაათავისუფლებს, მაგრამ ეს ჩვეულებრივი პოლიტიკოსის ქარაფშუტული განცხადებაა. ხოლო პოლიტიკოსის რასაც ლაპარაკობს, ყველაფერი სიმართლე ვერ იქნება“, — მიჩნევს თორნიკე შარაშენიძე.

ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში, **ვახტანგ მაისაია** ჩვენთან საუბრისას აცხადებს, რომ ბარონი მიუნჰაუზენიც კარგად აღწერდა საკუთარი თავის გადარჩენის ისტორიას, თითქოს ჭაობში როცა ილუპებოდა, საკუთარი ხელებით ამოიყვანა საკუთარი ტანი ჭაობიდან. ასევეა სააკაშვილიც, რომელიც ირწმუნება, რომ საქართველოში ექსტრადირების შემთხვევაში, ხალხი უმალ გაათავისუფლებს.

„მას უნდა დაესვას ფსიქიკური აშლილობის კლინიკური ფორმის დიაგნოზი. როგორც ჩანს, სააკაშვილი იმყოფება კოკაინის მაღალი დოზის ქვეშ. ეს ჩანდა კიდეც, რადგან სასამართლოს დატოვების შემდეგ ნარკოტიკულ თრობას განიცდიდა. მას ვულოცავ ახალი ტიპის ტრანსფორმაციას და ვუსურვებ, კიდევ უფრო გააუმჯობესოს თავისი რეკორდი. როცა სააკაშვილი თავისი დუღილის ტემპერატურას მიაღწევს, თვითონაც გათავისუფლდება და ჩვენც გაგვათავისუფლებს კომიკური მდგომარეობიდან. მისმა თანამებრძოლმა, თამარ ჩერგოლეიშვილმა სწორად აღნიშნა — მიხეილ სააკაშვილის ადგილი არის ცირკის არენაზე. თამარ ჩერგოლეიშვილმა უფრო კარგად იცის, ვინ არის სააკაშვილი და ამაში სრულად ვეთანხმები. სააკაშვილს მართლაც დაეწყო ფსიქიკური აშლილობა. ის გაცილებით უფრო არაადეკვატური გახდა. ათასგვარ მოხეტიალე შარლატანთან დაამყარა ურთიერთობა.

უკრაინაში სააკაშვილის მხარდასაჭერად ისეთი ადამიანები მივიდნენ, რომ სააკაშვილის ნაცვლად მე შემრცხვა. იქ გამოჩნდნენ ულტრანაციონალისტები, რომელთაც დასავლეთში ნეონაცისტური იარლიყი აქვთ მიკერებული და უკრაინის შიგნითაც დაბალი რეიტინგი გააჩნიათ. ისინი უკრაინის სახელმწიფოებრიობისთვის საშიშნი არიან. ეს დაჯგუფებები ანტისემიტური გამოხტომებითაც არიან ცნობილნი. სწორედ ეს გახლავთ სააკაშვილის გარემოცვა და სააკაშვილი თავადაც გახდა დიდი ანტისემიტი. მისი ქმედებები ისრაელის სახელმწიფოსთვისაც საშიში ხდება“, — აღნიშნა ვახტანგ მაისაიამ.

მანვე განმარტა, რომ სულ ახლახან მოხდა სერიოზული მოვლენა, რამაც, ფაქტობრივად, სააკაშვილის პოლიტიკური კარიერა უკრაინაში დაასამარა. საუბარია იმაზე, რომ პრეზიდენტმა

აშშ-მა გაეროს უშიშროების საბჭოში იერუსალიმის სტატუსის შესახებ რეზოლუცია დაბლოკა

გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე შეერთებულმა შტატებმა იერუსალიმთან დაკავშირებულ რეზოლუციას ვეტო დაადო. შეერთებულმა შტატებმა დოკუმენტი დაბლოკა, რომელიც ვაშინგტონის მიერ იერუსალიმის ისრაელის დედაქალაქად გამოცხადების გაუქმებას ითხოვდა. დოკუმენტი, რომელიც პალესტინის მიერ იყო მომზადებული, უშიშროების საბჭოში ეგვიპტემ წარადგინა. რეზოლუციის პროექტს მხარი საბჭოს 14-მა წევრმა დაუჭირა.

ვაშინგტონში სარკინიგზო კატასტროფას 6 ადამიანი ემსხვერპლა

ვაშინგტონის შტატში ახალ სარკინიგზო მაგისტრალზე პირველივე რეისი ტრაგედიით დასრულდა. მატარებელი სადგურიდან გამოსვლის შემდეგ 45 წუთში ხიდზე რელსებიდან გადავიდა. შედეგად, 6 ადამიანი დაიღუპა, 100-ზე მეტი კი დაშავდა. მათგან 78 კლინიკებში რჩება. ავარიის მიზეზი ჯერჯერობით უცნობია.

10 ადამიანის სიკვდილით დასჯაზე დასასნრებად მოსახლეობა სოციალური ქსელის მეშვეობით მიიწვიეს

სიკვდილით საჯაროდ დასჯის სანახავად ათასობით ადამიანი შეიკრიბა. განაჩენი ადგილობრივ სტადიონზე აღასრულეს, 7 ადამიანი ნარკოდანაშაულის გამო, 3 კი მკვლელობისა და ქურდობისთვის დაისაჯა. მაყურებლები სიკვდილით დასჯას ტელეფონებით იღებდნენ.

ჩინეთში ყოველწლიურად სიკვდილით უფრო მეტ ადამიანს სჯიან, ვიდრე მთელ დანაჩენ მსოფლიოში. თუმცა სიკვდილით დასჯის ზუსტი სტატისტიკა არ საჯაროვდება და სახელმწიფო საიდუმლოდ ითვლება. 2016 წელს ჩინეთში სიკვდილით 2 ათასი ადამიანი დასაჯეს.

აზერბაიჯანში რელიგიურ ლიდერებს ხელფასს გაღაუხღიან

აზერბაიჯანის რელიგიური ლიდერები ოფიციალურ ხელფასებს მიიღებენ.

მათ თებერვლიდან „მორალური ღირებულებების პროპაგანდის ფონდი“ დააფინანსებს. ხელფასის ოდენობას თავად სასულიერო პირები დაადგენენ.

ტრამპმა ხელი მოაწერა საკანონმდებლო აქტს, რომლითაც დამტკიცდა ამერიკის თავდაცვის ბიუჯეტი — 692 მილიარდი დოლარი. აქედან 350 მილიონი დოლარი გადაეცა უკრაინას სამხედრო დახმარების სახით. ამით ტრამპმა დაადასტურა, რომ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი სრულად უჭერს მხარს პოროშენკოს ხელისუფლებას, რითაც ტრამპმა ზუსტი პასუხი გასცა სააკაშვილის ავანტიურისტულ ქმედებას.

რაც შეეხება სააკაშვილის ბოლოდროინდელ არაადეკვატურობას, ვახტანგ მაისაია აცხადებს, რომ სააკაშვილი რომც ჩამოვიდეს საქართველოში, აეროპორტში, იგი პირველი გამოვა და მოსთხოვს საქართველოს მთავრობას, ეს ადამიანი გაათავისუფლონ მსჯავრისგან, ვინაიდან მისი ადგილი ფსიქიატრიულ საავადმყოფოშია. ავადმყოფი ადამიანის დაპატიმრება და მსჯავრის დადება კი არაჰუმანური აქტია.

„სააკაშვილს ორი ალტერნატივა დარჩენია, ან მას უნდა გამოუტანონ ისეთივე სასჯელი, რაც ისტორიამ გამოუტანა ლევ ტროცკისა და ბენიტო მუსოლინის, ან მისი ადგილი მხოლოდ ფსიქიატრიულშია“.

მანანა ნოზაძე

„საქართველოს სიმფონიეტამ“ დაუვიწყარი ბაროკო მუსიკის ფესტივალი გვაჩუქა!

2017 წლის შემოდგომაზე თბილისმა მესამედ უმასპინძლა ბაროკო მუსიკის საერთაშორისო ფესტივალს. როგორც წინა წლებში ასევე ახლაც პროგრამა მოიცავდა როგორც სპექტაკლებს (7 წარმოდგენა), ასევე ლექციებს (4 ლექცია). ტრადიციულად შესრულდა როგორც საგუნდო ნაწარმოებები, ასევე სოლო კონცერტები და საორკესტრო ნაწარმოებები (სოლო ინსტრუმენტის თანხლებით და თანხლების გარეშე). მაგრამ იყო სიახლეც — თბილისს ევროპიდან პირველად ეწვია ძველებური მუსიკის ორკესტრი — ეს იყო სახელგანთქმული „ბერლინის ძველებური მუსიკის აკადემია“ (Akademie fur Alte Musik Berlin) ბერნჰარდ ფორკის (Bernhard Forck) ხელმძღვანელობით. ყველა სხვა სპექტაკლზე გამოდიოდა „საქართველოს სინფონიეტა“, რომელიც მასპინძლის როლში იყო.

მოულოდნელი სიახლე აღმოჩნდა **ჯოვანი ბატისტა პერგოლეზის „სტაბატ მატერთან“** ერთად იმავე საღამოზე ქართული საგალობლების შესრულება ანსამბლ „ანჩისხატის“ გუნდის მიერ. დასავლეთიდან ჩამოსული ჩვენო ორი მომღერლის (სალომე ჯიქია, სოპრანო და ქეთევან ქემოკლიძე, მეცოსოპრანო) თანხლებით აჟღერებული უკვდავი „სტაბატ მატერი“ შთამეჭდავი იყო. რომ არა ტენდენცია საოპერო მუსიკისათვის დამახასიათებელი შესრულების მანერის გამოყენებისა, სხვა წუნს ამ შესრულებას ვერ მოუნახავდა გამოცდილი მსმენელიც. იტალიური საეკლესიო ბაროკო მუსიკის სინთეზი ქართულ საეკლესიო მუსიკასთან მეტად სინერგიული გამოდგა. მსმენელი დატკბა, როგორც ქართული გალობის, ასევე ევროპული საეკლესიო მუსიკის ჰანგებით. გერმანელმა დირიჟორმა — **კორნელია ფონ კერსენბროკმა** (Cornelia von Kerssenbrock) საგუნდო მუსიკის მრავალფეროვანი პროგრამა შემოგვთავაზა — წარმოდგენილი იყო ბახის, ჰენდელის, ვივალდისა და პიორსელის მუსიკა. მისი მანერის შესაბამისად, შესრულება იყო მონუმენტალური — დიდი (ორი სხვადასხვა) გუნდის მონაწილეობით და უჩვეულო ფორტისიმოებით, რაც ბეთჰოვენის „საზეიმო მესისათვისაც“ კი იქნებოდა შესაფერი. აქ, სასიამოვნოდ გამოჩნდა ჩვენი სოპრანო **ანა ცარციძე** — ლამაზი, კამერული ხმით, მან ჰენდელის ულამაზესი და ვირტუოზული მოტეტი ‘Laudate pueri’ HWV237 იმღერა. მოქნილი ტექნიკის მიუხედავად მომღერალს იმ საღამოს თითქოს სუნთქვის პრობლემები აწუხებდა (ავადმყოფობის გამო?), რაც უკვე ნაკლებად გამოვლინდა ზელენკას მაგნიფიკატში და ვივალდის ფსალმუნში Domine ad adiuvandum RV593. ფესტივალს შარშანდელი მონაწილეები ევროპიდან წელსაც ეწვივნენ — კლავესინისტი ჟან რონდო, ჩელისტი დავიდე ამადიო და ფაგოტისტი სერჯიო აცოლინი. **ჟან რონდო** (Jean Rondeau) **დომენიკო სკარლატის** სონატებითა და იოჰან კრისტიან ბახის ფა-მინორული კლავესინის კონცერტით წარმოგვიდგა. რონდო იყო შთამბეჭდავი, რასაც ვერ ვიტყვი ჩვენს კლავესინზე , პირველი რიგიდან იგი კარგად ისმის, მაგრამ მისი ჟღერადობა მკვეთრად იჩრდილება მომდევნო რიგებში. **ვივალდის** საღამოზე ჩელო კონცერტებთან (RV424, 412,418) ერთად შესრულდა სავიოლინო კონცერტები L’estro armonico (No.2,8 &10) ორი და ოთხი ვიოლინოსათვის. ამადიოს (Davide Amadio) ცეცხლოვან, სწრაფ და წყვეტილ შესრულებას, სადაც მუსიკალური ექსპრესია აჭარბებდა შესრულების სიზუსტეს, ჩვენმა ორკესტრმა საპირწონედ დაუდო ემოციური, მყარი და სწრაფი შესრულება. საინტერესო და მისასალმებელია, რომ ყოველ სავიოლინო კონცერტში სოლისტები იცვლებოდნენ — ჩვენმა ქალბატონებმა ჩინებულად დაძლიეს ვივალდის პასაჟები, ოდნავი ხარვეზებით არპეჯიოებში. ამიტომაც, იმ საღამოს, როგორც ვენეციელი ამადიოს, ასევე ჩვენი მევიოლინეების ბენეფისი იყო. ქართული ორკესტრის სასახელოდ ვიტყვი, რომ მათ შესძინეს შესრულებას ის ტემპერამენტი და გრძნობები, რაც ასე უხდება ვივალდის მუსიკას. სხვა კონცერტებიდან დისტანცირებული აღმოჩნდა საღამო, რომელშიც რუსი მევიოლინე **სერგეი მალოვი** მონაწილეობდა. მან შეასრულა სოლოც, ასევე ორკესტრთან ერთადაც. ნაწარმოებებს ასრულებდა რიგრიგობით როგორც ვიოლინოზე, ასევე ჩელოსა და სკალაზე — იშვიათ პატარა ჩელოზე, რომელიც შესრულებისას მკერდზე მაგრდება. მალოვმა ორკესტრთან ერთად იოჰან სებასტიანისა და კარლ ფილიპ ემანუელ ბახის გადაკეთებული ნაწარმოებები შეასრულა (ორიგინალში დაწერილი კლავიშებიანი ინსტრუმენტისათვის ან ტრადიციული ჩელოსათვის). ვინც მალოვის საშემსრულებლო მანერას იცნობდა იმ საღამოს პროგრამით გაკვირვებული არ დარჩებოდა — ვირტუოზული, სწრაფი და მეტად თანამედროვე მანერა სავარაუდოდ ნაკლებად მოუხდებოდა ნაწარმოების ორიგინალურ ვერსიას. იგი ისე ჩქარობდა რომ პირველი კონცერტის დასაწყისში კიდევაც უსწრებდა ორკესტრს. ასეთმა შესრულებამ უფრო მალოვი დაგვანახა და ჩრდილში დატოვა კომპოზიტორი.

ყველაზე უცხო და შესაბამისად საინტერესო მუსიკალური საღამო ფესტივალის დახურვისას უნდა ყოფილიყო. **იოჰან ფრიდრიხ ფაში, იან დისმას ზელენკა** და **იოჰან გეორგ პისენდელი** — ეს ის ბაროკო კომპოზიტორებია, რომლებიც, პრაქტიკულად, უცნობია ჩვენი მსმენელისთვის და მათი კონცერტები ვირტუოზულობის მაღალი ხარისხით გამოირჩევა. ამ შესრულებისათვის ექვსი უცხოელი მუსიკოსი შეიკრიბა — სახელგანთქმული ფაგოტისტი — **სერჯიო აცოლინი** (Sergio Azzolini), ფაგოტისტი — **აი იკედა,** ჰობოისტები: **ჯოვანი დე ანჯელი** და **პრიშკა კომპლოი,** ჩელისტი — **დავიდე ამადიო** და თეორბაზე — **ეტიენ გალეტიე**. ყველაფერი წარიმართებოდა ბრწყინვალედ რომ არა პირველი ჰობოისტის „უცნაური“ შესრულება — ნაზი ტონის ნაცვლად ჰობოი გამოსცემდა მყვირალა ტონს, შემსრულებლის ძალზე წყვეტილი მანერაც კი ვერ ფარავდა ტონალურ უზუსტობას (ინსტრუმენტის პრობლემა?). ამან ერთგვარი დისონანსი შექმნა სხვა შემსრულებლებთან და ზელენკას ულამაზესი კონცერტებით ZWV 186 & 189) სრულყოფილი დატკბობის საშუალება არ მომცა. მიუხედავად ამისა, კონცერტი შედგა და განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ XVIII საუკუნის დრეზდენის კარის მუსიკოსების საუკეთესო შედევრები პირველად აჟღერდა თბილისში!

აგრეთვე ცალკე უნდა აღინიშნოს ოთხი საჯარო ლექცია, რომელიც ბაროკო ეპოქას მიეძღვნა. თემატიკა გონივრულად გათვლილი და შერჩეული იყო — საუბრები შეეხო ბაროკო მუსიკისადმი ინტერესის მძლავრ მომატებას უკანასკნელი დეკადების დროს, დრეზდენის კარის მუსიკოსებს და ვივალდის (რომელთა ნაწარმოებები შესრულდა ფესტივალის დროს), ასევე კარავაჯოს და მის მიმდევრებს. ლექციები კონსერვატორიაში გაიმართა, გულდასაწყვეტი მხოლოდ ის იყო, რომ მომხსენებლების ჩინებულ დონეს შესაბამისი მსმენელების არმია არ დაესწრო, მით უფრო, როცა აკლდნენ თავად კონსერვატორიის სტუდენტები.

განსაკუთრებული მადლიერებით მინდა მოვიხსენიო ფესტივალის ძირითადი დამფუძნებლები — ჩვენი ორკესტრი — „საქართველოს სიმფონიეტა“ — რა სწორად და გემოვნებით იყო შედგენილი პროგრამა! როგორი ავტორიტეტები იყვნენ მოწვეულნი და რა უცხო მუსიკა აჟღერდა, რომელიც დარბაზის უმრავლესობას არასოდეს მოუსმენია.

ჩვენი ორკესტრი ჩინებულად გამოვიდა — უდავოა, მან მიიღო კარგი „საშტატო“ ორკესტრის სახე, რომელიც ერთნაირად უწევს კარგ პარტნიორობას სხვადასხვა მუსიკოსებს. მაგრამ, მინდა აღვნიშნო, რომ ორკესტრის შესრულების მანერა ჩემი თვალსაზრისით, მეტად თანამედროვეა, ნაკლებად ექცევა ყურადღება აკუსტიკას და სიფაქიზეს, არადა, ამის კარგი მაგალითი ბერლინის ძველებური მუსიკის აკადემიის ორკესტრმა ზუსტად გვიჩვენა.

დავით გიგინეიშვილი

◎ ბატუტზე ხტომა

დედაქალაქის თასზე

დამთავრდა ბატუტზე ხტომაში დედაქალაქის თასის ღია გათამაშება, რომელშიც 19-წლამდელი სპორტსმენები მონაწილეობდნენ. საასპარეზოდ თბილისის, გორის, ხაშურისა და მარნეულის 140-მდე წარმომადგენელმა მოიყარა თავი. მედლების კომპლექტები სხვადასხვა ასაკის გოგონებმა და ვაჟებმა გაინაწილეს. ოსტატთა პროგრამით სოფიო დაშნიანმა (მწვრთნელი ირმა სოლოღაშვილი) ორივე პროგრამა უნაკლოდ შეასრულა. ტურნირზე ახალი და ყველაზე რთული ვარჯიშით წარსდგა მარიამ რაგიმოვი (მწვრთნელი რევაზ გამხოშვილი). ამ ორი სპორტსმენისთვის კონკურენციის გაწევა შეეძლოთ ანანო აფაქიძესა და მეგი ფარულუას, მაგრამ ასპარეზობისას დაშვებული სერიოზული შეცდომების გამო ისი-

ნი კვარცხლბეკს მიღმა აღმოჩნდნენ. საგულისხმოა, რომ ეს ოთხი სპორტსმენი ერთი თვის წინათ სოფიაში გამართულ ახალგაზრდების მსოფლიოს პირველობაში გამოდიოდა. ფარულუამ და დაშნიანმა 14-წლამდელთა სინქრონულ ხტომებში მე-5 ადგილი დაიკავეს, ამავე ასაკის ინდივიდუალურ ხტომებში აფაქიძე მე-8 ადგილით დაკმაყოფილდა, ხოლო რაგიმოვი 12-წლამდელებში მეშვიდე იყო. თბილისის თასზე ლელა არდოტელმა, მარიამ რაგიმოვმა და ლუკა ლაპატინმა სამ-სამი მედალი დაიმსახურეს.

კვარცხლბეკი

სპორტის ოსტატების პროგრამით. გოგონები. **1. სოფიო დაშნიანი (95,96), 2. მარიამ რაგიმოვი (95,77), 3. მარიამ ხელაძე (86,84);** ვაჟები. **1. ნიკოლოზ შახბაზიანი (86,15), 2. თამაზ ლომსაძე (84,03), 3. ლუკა ლაპატინი (48,91).**

ოსტატობის კანდიდატის პროგრამით. გოგონები. **1. მარიამ რაგიმოვი (94,92), 2. მარიამ ჯიქია (91,00), 3. ლელა არდოტელი (88,32).**

პირველი თანრიგი. გოგონები. **1. ლელა არდოტელი (88,12), 2. ანა ლაპიაშვილი (84,32), 3. მაია ბოჭორიძე (82,96);** ვაჟები. **1. ლუკა ლაპატინი (75,65), 2. დავით ქოქაშვილი (73,58), 3. ნიკოლოზ მაჩაიძე (71,31).**

სინქრონული ხტომები. გოგონები. **1. ანანო აფაქიძე, სოფიო დაშნიანი (50,00), 2. მარიამ რაგიმოვი, მარიამ ჯიქია (49,90), 3. თინიკო ჩუბინიძე, ლელა არდოტელი (46,8);** ვაჟები. **1. დავით ქოქაშვილი, ლუკა ლაპატინი (32,6), 2. ნიკოლოზ შახბაზიანი, თამაზ ლომსაძე (14,6).**

ჩვენი სპორტსმენები ახლა ცოტას დაისვენებენ და მომავალი წლის ბატალიებისთვის მზადებას დაიწყებენ, — გვითხრა ბატუტზე მხტომელთა ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ზაურ სულაშვილმა, რომელსაც ამას წინათ საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწის წოდება მიენიჭა. — აპრილის დასაწყისში ევროპის ჩემპიონატი გვაქვს, რომელიც სალიცენზიო შეჯიბრებაცაა — იქ მინსკის 2019 წლის მეორე ევროპული თამაშების საგზურები განაწილდება. ვეცდებით, ქომაგები გავახაროთ.

ლაშა დიდია

◎ ფეხბურთი

„ნახალოვკა“ სუპერთასის მფლობელია

35-ე სკოლის საფეხბურთო სტადიონ „მარაკანაზე“ თბილისის მერიის სუპერთასის ფინალი გაიმართა, რომელიც თბილისის მერიის, სამოყვარულო ფეხბურთის ასოციაციის, ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდისა და ფეხბურთის ფედერაციის ერთობლივი პროექტია. ფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ თბილისის უმაღლესი ლიგისა და თბილისის მერიის თასის გამარჯვებულები „სეუ“ და „ნახალოვკა“.

მატჩის დასაწყისი ორმხრივ შეტევებში წარიმართა, თუმცა, „სეუს“ შეტევები უფრო სახიფათო იყო და ერთ-ერთი ასეთი ბრწყინვალედ გათამაშებული კომბინაციის შემდგომ **გიორგი მოდებაძემ** მეკარეს ბურთი თავზე გადაუგდო და „სეუ“ დააწინაურა. გატანილი გოლის შემდეგ „სეუს“ რამდენჯერმე მიეცა უპირატესობის გაზრდის შანსი, თუმცა, გადამწყვეტ მომენტში არ უმართლებდათ. ერთ-ერთი ამგვარი გაფუჭებული მომენტის შემდეგ დაწყებული კონტრიერიში გიორგი ალავიძემ გოლად აქცია და მატჩის დასრულებამდე 10 წუთით ადრე ანგარიში გაათანაბრა — 1:1.

საბოლოოდ შეხვედრის ბედი საფეხბურთო ლატარიამ — პენალტების სერიამ გადაწყვიტა, სადაც უფრო ზუსტები „ნახალოვკის“ ფეხბურთელები აღმოჩნდნენ (4:1) და თბილისის მერიის სუპერთასიც დაისაკუთრეს. გამარჯვებულ გუნდს ქალაქ თბილისის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის ფინანსური მხარდაჭერით თასი და სიმბოლური პრიზები გადაეცა.

გიორგი ზოთაძე

◎ ლეგიონერი

ბითაძის მონაგარი

გოგა ბითაძის „მეგა ბიმაქსი“ ადრიატიკის ლიგაში ერთ-ერთ კონკურენტ „ციბონას“ ესტუმრა და დაძაბულ ბრძოლაში 93:95 წააგო. 18 წლის ქართველი ცენტრი, ტრადიციულად, სასტარტო ხუთეულში იმყოფებოდა და 25 წუთში 9 ქულა, 4 მოხსნა, 3 პასი და 3 დაფარება მოაგროვა.

ბითაძემ 8-დან 4 ორქულიანი და 1 საჯარიმო ჩააგდო, 3 სამქულიანი ააცილა, 4 პერსონალური ფოლი მიიღო, მის წინააღმდეგ კი 2-ჯერ დაჯარიმდნენ. 4 მოგებითა და 8 მარცხით „მეგა ბიმაქსი“ ბოლოსწინა, მე-11 ადგილზეა, მომდევნო შეხვედრას კი 25 დეკემბერს შინ ლიდერ ბელგრადის „ცრვენა ზვეზდასთან“ ჩაატარებს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

მელიქიძისა და ბიწაძის ლელო

გასულ კვირაში ევროპის წამყვანმა სარაგბო კლუბებმა ევროთასების ჯგუფური ეტაპის მე-4 ტურის შეხვედრები ჩაატარეს, ხოლო საფრანგეთის მეორე ელიტარულ დივიზიონ პრო დე 2-ში მეორე წრე დაიწყო.

ჩემპიონთა თასი

ევროპის ყველაზე პრესტიჟული, ჩემპიონთა თასის ჯგუფური ეტაპის დაძლევის შანსი ქართველი ლეგიონერთა ხუთ გუნდს აქვს. განვლილ უქმეებზე მეოთხე ტურის თამაშები გაიმართა და ისინი პირველ-მეორე ადგილებზე გამაგრდნენ.

პირველ ჯგუფში ლექსო ყაულაშვილის „ლა როშელმა“ პირველი მარცხი განიცადა, თუმცა, მანამდე სამი გამარჯვება ჰქონდა მოპოვებული, სამივე ბონუსით და 15 ქულით პირველ ადგილზეა. ამ ტურში ფრანგული კლუბი „უოსპს“ ინგლისში ეწვია და 3:21 დამარცხდა. ქართველი ბურჯი ტრავმირებულია და რეაბილიტაციას გადის.

დავით ზირაქაშვილის, ვიტო კოლელიშვილის, ბექა კაკაბაძისა და ოთარ გიორგაძის „კლერმონი“ ერთ-ერთია იმ ორი გუნდიდან, რომელმაც ოთხივე თამაში მოიგო და ის 18 ქულით მეორე ჯგუფს ლიდერობს. ამ ტურში „ვულკანებმა“ ჩემპიონთა თასის მფლობელს ლონდონის „სარასენსს“ უმასპინძლა და 24:21 დაამარცხა. შეხვედრაში, რომელსაც 19 ათასი მაყურებელი დაესწრო, ინგლისელები 13:0 დაწინაურდნენ, თუმცა, მასპინძელთაგან შესვენებამდე 4 ჯარიმა მიიღეს (12:13).

ინგლისელებმა დისციპლინა ვერც მეორე ტაიმში გამოასწორეს. მართალია, მათ მეორე ტაიმის შუაში უპირატესობის დაბრუნება მოახერხეს, მაგრამ დასკვნით 10 წუთში ორი ჯარიმა მიიღეს. ქართველ ლეგიონერთაგან განაცხადში კოლელიშვილი იყო და მან შეცვლაზე 8 წუთი ითამაშა.

მესამე ჯგუფში ორი მარცხის შემდეგ ზედიზედ ორი შეხვედრა მოიგო მიხეილ ნარიაშვილის, კოტე მიქაუტაძისა და დუდუ ქუბრიაშვილის „მონპელიემ“. ფრანგებმა პირველ ორ თამაშში 3 ბონუს-ქულა აიღეს, ამჯერად შოტლანდიური „გლაზგო“ ორივეჯერ პრემიით დაამარცხეს და, შესაბამისად, ჯამში 13 ქულა მოუგროვდათ. ისინი მეორე ადგილზე არიან და ლიდერს, ირლანდიურ „ლენსტერს“ 5 ქულით ჩამორჩებიან.

შოტლანდიელებმა პირველი ტაიმი 19:14 მოიგეს, თუმცა, 11 ათასი ქომაგის გასახარად მასპინძლებმა მეორე ტაიმში უპირატესობის მოპოვება მოახერხეს. „მონპელიეს“ სასტარტო შემადგენლობაში იყო და 67 წუთი ითამაშა მეორეხაზელმა მიქაუტაძემ, ხოლო ბურჯი ნარიაშვილი ბრძოლაში 47-ე წუთიდან ჩაერთო.

ვასილ კაკოვინის „რასინგმა“ „კასტრს“ პარიზში 4 ლელო გაუტანა და 29:7 დაამარცხა. პარიზელებმა თითო ტაიმში ორ-ორი ლელო მიითვალეს, ბონუსიც აიღეს და 11 ქულით მეოთხე ჯგუფში მეორე ადგილზე არიან. კაკოვინმა შეცვლაზე 47-ე წუთიდან ითამაშა.

13 ქულა აქვს ინგლისურ „ბათს“ დამატებითი მაჩვენებლებით ჩამორჩება და მეხუთე ჯგუფში მეორე ადგილზეა მამუკა გორგოძისა და ლევან ჩილაჩავას „ტულონი“. ფრანგები „ბათს“ ინგლისში ქართველი ლეგიონერების გარეშე ეწვივნენ, 21:26 დამარცხდნენ და შინ ბონუსით დაბრუნდნენ.

ჩელენჯ ქაფი

ჩელენჯ ქაფის პირველ ჯგუფში ქართული დერბი შედგა. ფრანგულმა „ბორდომ“ რუსეთის ჩემპიონ „ენისეის“ უმასპინძლა და 16646 მაყურებლის წინაშე 36:27 დაამარცხა. ფრანგთა შორის 66-ე წუთიდან ითამაშა ბურჯმა ლაშა ტაბიძემ, ხოლო „ენისეის“ რიგებში სრულად გაისარჯნენ დავით კაჭარავა და მიხეილ გაჩეჩილაძე.

მეორე ჯგუფში „ლიონმა“ „ტულუზს“ 21:11 სძლია. გამარჯვებულთა შორის 54-ე წუთიდან ითამაშა თორნიკე მატარაძემ.

ამავე ჯგუფში „კარდიფმა“ „სეილი“ მიიღო და 14:6 სძლია. უელსელთა სასტარტო შემადგენლობაში იყო და 60 წუთი ითამაშა ანტონ ფეიქრიშვილმა. „კარდიფი“ 13 ქულით პირველ ადგილზეა, ხოლო „ლიონს“ 9 ქულა აქვს და მეორეზეა.

მესამე ჯგუფის ფრანგულ დერბიში „აჟენი“ „პოს“ ეწვია და 12:26 დამარცხდა. ვახტანგ ახობაძე სტუმართა სასტარტო შემადგენლობაში იყო და მოედანზე 69 წუთი გაატარა.

ქართული დერბი შედგა მეოთხე ჯგუფშიც, სადაც „ლონდონ აირიში“ ფრანგულ „სტად ფრანსეს“ მასპინძლობდა. ინგლისელთა შორის შეუცვლელად ითამაშა ლაშა ლომიძემ. პარიზელთა შემადგენლობაში ტრავმირებული თანაგუნდელი მე-4 წუთზე შეცვალა ზურაბ ჟვანიამ, ხოლო გიორგი მელიქიძე თამაშში 51-ე წუთიდან ჩაერთო, 3 წუთში კარის წინ წარმოქმნილი რაქიდან ბურთი აიტაცა და ლელოში შევიდა. ამ ეპიზოდამდე ფრანგები 5:17 აგებდნენ, მერე კი თამაშში გარდატეხა შეიტანეს და ბოლო წუთზე გატანილი ლელოთი გამარჯვება იზეიმეს.

ამავე ჯგუფში „კრასნი იარი“ „ედინბურგს“ „მარიფილდზე“ ეწვია და 0:78 დამარცხდა. სტუმართა შორის სრულად ითამაშეს „ბორჯღალოსნებმა“ ლაშა მალაღურაძემ და გიორგი ფრუიძემ.

მეხუთე ჯგუფში „ოიონამ“ „ვუსტერს“ უმასპინძლა და 27:20 სძლია. მასპინძელთა შორის პირველიდან 68-ე წუთამდე ითამაშა ირაკლი მირცხულავამ.

„ბრივი“ ირლანდიაში „კონახტთან“ 10:55 დამარცხდა. კახა ასიეშვილმა შეცვლაზე 47-ე წუთიდან ითამაშა.

პრო დე 2

საფრანგეთის მეორე ელიტარულ დივიზიონ პრო დე 2-ში ორი კვირის ინტერვალით მეორე ლელო გაიტანა „ბორჯღალოსანმა“ ბექა ბიწაძემ. 27-ე წუთზე მან ბურთი აიტაცა, მცველებთან ჭიდილში ორი მეტრი დაფარა და მიზანს უწია. მისი „ნარბონი“ „ორიაკს“ მასპინძლობდა და 17:31 დამარცხდა. ბიწაძემ შეუცვლელად ითამაშა. სტუმართა შორის შეუცვლელად ითამაშა „ბორჯღალოსანთა“ კაპიტანმა მერაბ შარიქაძემ, რომელმაც მეორე ტაიმის დასაწყისში ხაზი გაჭრა, ბოლო მცველი აიყვანა და ლელოში ბურთი თანაგუნდელს შეაყოლა. შეცვლაზე 67-ე წუთზე შევიდა ნიკოლოზ ხატიაშვილი.

„ანგულემმა“ ერთ-ერთ ლიდერ „მონ-დე-მარსანს“ უმასპინძლა და 16:13 დაამარცხა. „ანგულემის“ მეორე ხაზში პირველიდან 72-ე წუთამდე ითამაშა შალვა სუთიაშვილმა.

„ვანის“ სასტარტოში იყო და მოედანზე 47 წუთი გაატარა ვახტანგ მაისურაძემ. მისი გუნდი „მონტობანთან“ 0:73 დამარცხდა.

„მასმა“ „კარკასონი“ მიიღო და 13:9 დაამარცხა. მასპინძელთა ბურჯმა ილია კაიკაციშვილმა მოედანზე 55 წუთი გაატარა. სასტარტო შემადგენლობაში იყო და 33-ე წუთზე შეცვალეს სტუმართა ბურჯი მირიან ბურდული, ხოლო კვაჭი შალვა მამუკაშვილი თამაშში 48-ე წუთიდან ჩაერთო.

კოგა კობახიძე

◎ ტექნიკური ცივილიზაცია თუ... მორიგი აფიორა?

რა აიძულებთ ადამიანებს, უარი თქვან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებაზე?!

პლასტიკური ბარათების 70-წლიანი ისტორია

70 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მსოფლიო ფინანსურ სისტემაში პირველი პლასტიკური ბარათი გაჩნდა, თუმცა, დღემდე ვაჭრობის 85% ისევ ნაღდ ფულზე მიმდინარეობს. რა თქმა უნდა, არის ქვეყნები, სადაც ნაღდი ანგარიშსწორება მინიმუმამდეა შემცირებული. მაგალითად, შვედეთში 2015 წელს ნაღდ ფულზე ანგარიშსწორების მხოლოდ 2% მოდიოდა, უკვე 2020 წლისთვის ეს მაჩვენებელი 0,5%-მდე შემცირდა. დღეს შვედეთში საეკლესიო შემოწირულობათა 40%-იც კი პლასტიკური ბარათებით მიმდინარეობს.

მსგავსი სიტუაციაა დანიასა და ისლანდიაში. ბრიტანეთი ცდილობს, ყოველწლიურად გაზარდოს უნაღდო ოპერაციების რაოდენობა და უკვე 2015 წელს ბარათებმა გაუსწრეს ნაღდ ფულს — სავაჭრო ოპერაციების 52% ხორციელდება ბარათებით. ეს არის მსოფლიო ტენდენცია და ის ეხება არა მხოლოდ ევროპას და ამერიკას, არამედ ინდოეთს და ჩინეთსაც.

2011-2015 წლებში მსოფლიო მასშტაბით უნაღდო ანგარიშსწორების წილი 52%-ით გაიზარდა და 471 მლრდ. ტრანზაქცია შეადგინა. თუმცა, უნაღდო ანგარიშსწორება არაა ახალი ხილი და ის არსებობდა დიდი ხნის წინათ.

მსოფლიოს ისტორიაში პირველად უნაღდო ანგარიშსწორება 1775 წელს გამოიყენეს, როდესაც ბრიტანეთში გაჩნდნენ ვექილები, რომელთა პროტოტიპი ჯერ კიდევ ანტიკურ საბერძნეთში არსებობდა. მე-19 საუკუნის ბოლოს ამ ტიპის ანგარიშსწორება მასობრივად გამოიყენებოდა აშშ-ში და ევროპაში. ნამდვილი უნაღდო ანგარიშსწორება პირველად გაჩნდა ამერიკაში, მე-20 საუკუნეში — ჯერ AmEx-ის საგზაო ჩეკები, შემდეგ ლოიალობის ბარათები, რომლებსაც არიგებდა ნავთობკომპანია General Petroleum Corporation of California ჯერ კიდევ შორეულ 1914 წელს.

საბანკო ბარათების ბიზნესი ამერიკაში გასული საუკუნის 40-50-იან წლებში დაიწყო, სავაჭრო ბუმის დროს, სამმა მეგობარმა — ფრენკ მაკნამარამ, ალფრედ ბლუმინგდეილმა და რალფ სნაიდერმა შექმნეს საკლუბო ბარათი Diners Club, რომლითაც შეიძლებოდა გადახდა რესტორნებში.

ბარათმა მალე მოიპოვა პოპულარობა — დაარსებიდან მხოლოდ 1 წელიწადში, 1950-ში, მას უკვე ჰყავდა 20 000 მომხმარებელი. სწორედ ეს კლუბი გახდა მსოფლიოში პირველი საგადამხდელო კომპანია.

პლასტიკური ბარათების ბიზნესის განვითარების შედეგი ისაა, რომ დღეს, 70 წლის შემდეგ, ყოველ ამერიკელს გააჩნია მინიმუმ 1 სადებეტო და 2 საკრედიტო ბარათი.

ნაღდი ფულის ბრუნვის შემცირება ხელს უწყობს კრიმინალის შემცირებას, ფინანსურ დანაშაულებთან ბრძოლის ეფექტურობის გაზრდას, ნაღდი ფულის წარმოებაზე გაწეული ხარჯების შემცირებას. უნაღდი ანგარიშსწორება ასევე ახდენს გავლენას ქვეყნების ეკონომიკაზე. მაგალითად, საბარათე ტრანზაქციების ზრდა მხოლოდ 1%-ით, მატებს განვითარებული ქვეყნების მშპ-ს 75 მლრდ. დოლარს, განვითარებადს — 29 მლრდ-ს. მაგალითად, სარეიტინგო სააგენტო Moody's-ის ინფორმაციით, რუსეთმა 2011-2015 წლებში მიიღო უნაღდო ტრანზაქციების ზრდის ხარჯზე დამატებითი 26 მლრდ. დოლარი.

„უნაღდო ანგარიშსწორებას მოაქვს დიდი სარგებელი არა მხოლოდ მომხმარებლებისთვის კომფორტის თვალსაზრისით, არამედ საზოგადოებისთვის და მთავრობებისთვის გადასახადების აკრეფის და ჩრდილოვან ეკონომიკასთან ბრძოლის კუთხით. გარდა ამისა, ჩვენ ვხედავთ, რომ ეკონომიკა უფრო დინამიკურად იზრდება ქვეყნებში, სადაც უნაღდო ბრუნვა მუდმივად მატულობს", — განაცხადა კომპანია Mastercard-ის ერთ-ერთმა დირექტორმა ტიმ მერფიმ.

დღეს გლობალური საგადამხდელო სისტემები აქტიურად ამუშავებენ ახალ ტექნოლოგიებს, მონაცემთა ანალიზის სისტემებს და ხელოვნურ ინტელექტს. ასევე მათ აინტერესებთ „ჭკვიანი ქალაქების" პროექტებიც, რაც ბუნებრივია — სწორედ ქალაქებზე მოდის მსოფლიო მშპ-ს 70%, მეგაპოლისებში კი ცხოვრობს დედამიწის მოსახლეობის 50%.

თანამედროვე, მოხერხებული და ფუნქციონალური ქალაქური გარემოს შექმა ძალიან პერსპექტიულია მათ შორის უნაღდო ანგარიშსწორების გავრცელების კუთხითაც.

უნაღდო ანგარიშსწორების ზრდის ერთ-ერთი დრაივერია ახალი ტექნოლოგიები, NFC- ჩიპები, რომლებიც იძლევიან ერთი მიკარებით ფულის გადახდის საშუალებას არა მხოლოდ ბარათის, არამედ ტელეფონის მეშვეობითაც — ამგვარი ტექნოლოგიები ძალიან უწყობს ხელს უნაღდო ოპერაციების რაოდენობის ზრდას.

ინტერნეტმა და მობილურმა კავშირმა გაზარდეს უნაღდო ანგარიშსწორების მომხრეთა რაოდენობა გაცილებით მეტად, ვიდრე ყველა მთავრობამ და კანონმა ერთად აღებულმა.

„მილენიალების თაობა", ანუ 1981 წლის შემდეგ დაბადებული ადამიანები, დღეს უკვე შეადგენენ დედამიწის მოსახლეობის მესამედს და სწორეს მათი სამომხმარებლო ქცევები განაპირობებს უნაღდო ანგარისწორების მუდმივ ზრდას. ამ თაობას ნაკლებად აინტერესებს პრესტიჟი, მათთვის უფრო მნიშვნელოვანია ხარისხის და ფასის შეფარდება, კომფორტი და სერვისის სიჩქარე. მათ ასევე შეუძლიათ თვლა და არ უყვართ ფულის ფლანგვა.

უახლოეს პერიოდში მობილურ და უკონტაქტო ანგარისწროებას შეუერთდებიან ინტერნეტ-ბრაუზერებიც — ონლაინ გადახდა იქნება ბრაუზერების ფუნქციონალური ნაწილი — უკვე დღეს საოპერაციო სისტემა Apple iOS8.-ს შეუძლია ბარათის მფლობელის მონაცემების სკანირება და მათი ავტომატური განთავსება ბრაუზერ Safari-ს გვერდზე.

არაა გამორიცხული, რომ თავის დროზე ბარათებიც გაქრება და დაუთმობს ადგილს ფულის მიწოდების და ანგარიშსწორების სხვა, უფრო მაღალტექნოლოგიურ ინსტრუმენტებს. დღეს უკვე ამისთვის საკმარისია ტელეფონი. მოვა დრო, როდესაც შესაძლებელი იქნება ფულის გადახდა თითის ანაბეჭდის მიხედვით, ან თვალის სკანირებით — მაგალითად, იაპონიაში გადის ტესტირებას ბიომეტრიული მონაცემების მიხედვით ანგარიშსწორების ტექნოლოგია.

თუმცა არის პრობლემებიც — ნაღდი ფული იძლევა ანონიმურობის დაცვის ბოლო შესაძლებლობას — უნაღდო ანგარიშსწორება მჭიდროდაა დაკავშირებული უსაფრთხოების საკითხებთან. ნებისმიერი ტრანზაქცია ბარათით არის ღია და გახსნილი ყველასთვის, რაც ზოგჯერ არაა საჯაროველი — ეს არის ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც ხელს უშლის უნაღდო ანგარიშსწორების კიდევ უფრო მასშტაბურ გავრცელებას. ამიტომ, სახელმწიფოებსაც და ბიზნესსაც მოუწვთ ამ საკითხზე ბევრი ფიქრი — წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ფაქტორი კიდევ დიდი ხნის განმავლობაში შეაფერხებს მსოფლიოს საბოლოო გადასვლას უნაღდო ანგარიშსწორებაზე.

RBPLUS.RU

ინფორმაცია

2018 წლის 15 თებერვალს 12:00 საათზე, თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში მის: თერჯოლა7 რუსთაველის ქუჩა №7-ში;

2018 წლის 15 თებერვალს 14:00 საათზე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში მის: რუსთაველის ქუჩა №25-ში;

2018 წლის 15 თებერვალს 16:00 საათზე, ქალაქ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიაში მის: ქალაქი სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6-ში;

გაიმართება საერთაშორისო მნიშვნელობის E-60 ავტომაგისტრალის ქუთაისის შემოსავლელი გზა-სამტრედიის მონაკვეთების 4-ზოლიან მაგისტრალად მოდერნიზების დეტალური პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა. შეხვედრის მიზანია დაგეგმილ სამუშაოთა ზემოქმედების არეალში მოქცეული ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

• საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ–გვერდზე: www.georoad.ge:

• თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში მის: თერჯოლა, რუსთაველის ქუჩა № 7-ში;

• წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში მის: რუსთაველის ქუჩა №25-ში;

• ქალაქ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში მის: რესპუბლიკის ქ. №6-ში

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქალბატონ ლუიზა ბუბაშვილს ტელ: 595 219141 ელ.ფოსტა: likabubashvili@yahoo.com

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

განცხადება

2018 წლის 9 თებერვალს, 14 საათზე, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. ჩოხატაური, წერეთლის ქუჩა №2) გაიმართება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ბარამიძე ჰესის (დადგმული სიმძლავრით 8,2 მგვტ) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის საჯარო განხილვა.

საქმიანობა ითვალისწინებს მდ. ბარამიძისწყალზე დერივაციული ტიპის არარეგულირებადი (წყალსაცავის გარეშე) ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას და ექსპლუატაციას.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

• ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში - ქ. ჩოხატაური, წერეთლის ქუჩა №2;

• შპს „გამა კონსალტინგი"-ს ოფისში – ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა. ტელ: 2 60 15 27.

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქვემოთ მითითებულ პირებს:

• გიორგი ჩიტაშვილი. ტელ: 577 67 06 43; E-mail: g.chitashvili@anagi.ge;

• გიორგი ბჟალავა. ტელ: 595 28 75 60; E-mail: goga@gamma.ge;

გზშ-ს ანგარიშთან დაკავშირებული შენიშვნებისა და კომენტარების წარმოდგენა შესაძლებელია განცხადების გამოქვეყნებიდან 45 დღის ვადაში.

სს „სუშსა ენერჯი"-ს ადმინისტრაცია

ქურდები „საქართველოს ბანკს" შეეჩვივნენ

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად 1992 წელს დაბადებული თ.ჯ., ყაჩაღობის ბრალდებით თბილისში დააკავეს.

უწყების ცნობით, გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებული თბილისში, წერეთლის გამზირზე მდებარე „საქართველოს ბანკის" ექსპრეს ფილიალში შეიჭრა და მოლარე-ოპერატორს ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით თანხა გასტაცა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული მომხდარიდან რამდენიმე საათში, ცხელ კვალზე დააკავეს. პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი და გატაცებული თანხის ნაწილი ნივთმტკიცებად ამოიღო.

ჩადენილი დანაშაული რვიდან თორმეტ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

* * *

ვარკეთილში „საქართველოს ბანკი" დააყაჩაღეს. შემთხვევა გუშინ დილით მოხდა. ადგილობრივების ინფორმაციით, ბანკში ორი შეიარაღებული პირი, დაახლოებით დილის 10:00 საათზე შეიჭრა. წინასწარი ინფორმაციით, თავდამსხმელებმა თანხის წაღება შეძლეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ყაჩაღობას გულისხმობს.

ყურადღება

2017 წლის 22 დეკემბერს 15 საათზე ჩატარდება საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის მორიგი სხდომა, რომელზეც მოხსენებით გამოვა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, გენერალ-ლეიტენანტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის თავმჯდომარე, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

თემაზე: **„საქართველოს ხელისუფლების სამშვიდობო ინიციატივები კონფლიქტების დარეგულირებასთან დაკავშირებით“.**

სხდომა გაიმართება საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური საბაკალავრო კოლეჯის სხდომათა დარბაზში (ალ. ყაზბეგის 47, VI სართული). დასწრება თავისუფალია.

თეიმურაზ ბაბუნაშვილი,
საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის
პრეზიდენტი, პროფესორი,
ქ. თბილისის საპატიო მოქალაქე

მილოცვა

ს.ს.ი.პ. აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმის დირექცია და თანამშრომლები 2018 წლის მობრძანებას ვუ-ლოცავთ მუზეუმის მზრუნველთა საბჭოს წევრებს: ბატონებს **ნიკოლოზ და პაატა კურტანიძეებს, ბორის ივანიშვილს, ელგუჯა ნოზაძეს, კოტე, თენგიზ და თამაზ კაპანაძეებს, კახაბერ მანჯავიძეს, ლევან ვასაძეს, ედუარდ ბერიკაშვილს და ზაზა ზაბახიძეს,** საქველმოქმედო „ქართუ“ ფონდის დირექციას. თქვენი მზრუნველობა არ მოკლებოდეს თქვენს ოჯახებს, სამშობლოს და, რა თქმა უნდა, სულკურთხეული მგოსნის აკაკის მშობლიურ კუთხეს.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმის დირექციისა და თანამშრომლების დავალებით
ცეზარ ლაშხი.

ბრიტანელი ჟურნალისტები აჭარის შესახებ ბლოგებს და სტატიებს გამოაქვეყნებენ

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ორგანიზებით აჭარას ბრიტანული მედიის წარმომადგენლები სტუმრობდნენ. დეპარტამენტის ცნობით, რეიტინგული გამომცემლობა „The Epoch Times“-ის ჟურნალისტებმა და ბლოგერებმა აჭარაში იმოგზაურეს, მოინახულეს კურორტი გოდერძი, გაეცნენ ქართულ ფოლკლორსა და სამზარეულოს, დაათვალიერეს ქალაქის ღირსშესანიშნაობები და ბოტანიკური ბაღი. ბლოგერები თავიანთ შთაბეჭდილებებს მკითხველებს 2018 წლის დასაწყისში გაუზიარებენ.

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტმა ბრიტანელ ჟურნალისტებს წელს მეორედ უმასპინძლა. რეგიონს ივლისში ტელეკომპანია BBC-ის წარმომადგენლები სტუმრობდნენ. 2018 წლიდან, დეპარტამენტი დიდ ბრიტანეთში სარეკლამო კამპანიებს ოფიციალურად დაიწყებს.

როცა გვერდით ახლობელი გყავს...



სიმარტოვე გასუქებაზე უფრო სახიფათო ყოფილა, — აცხადებენ ჩიკაგოელი ფსიქოლოგები.

ამერიკელთა კვლევამ აჩვენა, რომ უფროსი ასაკის მარტოხელა ადამიანებს უუარესდებათ ძილი, უწევთ არტერიული წნევა და სტრესის ჰორმონის შემცველობა, უქვეითდებათ იმუნიტეტი.

გარდა ამისა, მარტოხელებში უცაბედი სიკვდილის რისკი 15 პროცენტით მაღალია, ვიდრე მათ ოჯახის პატრონიან თანატოლებში იმის მიუხედავადაც კი, როცა ისინი გასუქებას, ჰიპერტონიასა და სხვა ქრონიკულ სნეულებებს უჩიოდნენ.

უთანასწორობის მორევი

ამერიკელმა მეცნიერებმა სტატისტიკური მონაცემების ანალიზის შედეგად დაასკვნეს, რომ ღარიბი ადამიანების სიცოცხლე მდიდარი ადამიანების სიცოცხლეზე, საშუალოდ, 7-10 წლით ხანმოკლეა.

მათ ქვეყანა არა გეოგრაფიული, არამედ ფინანსური ნიშნით დაყვეს, რა დროსაც გარკვეულ ადგილებში ოჯახების საშუალო წლიური შემოსავალი გაითვალისწინეს. აღმოჩნდა, რომ უღარიბეს შტატებში მამაკაცები 10 წლით ნაკლებს ცოცხლობენ (69 წლამდე), ვიდრე მდიდრებში, ქალები კი — 7 წლით (76 წლამდე) ნაკლებს.

ამასთან, ყველაზე ღარიბებში თამბაქოს მწეველი 4,5-ჯერ მეტია, ჭარბი წონის აკრეფის რისკი კი დაბალშემოსავლიანი ოჯახის წევრებში 50 პროცენტით უფრო მაღალი.

აქედან გამომდინარე, მკვლევარები აცხადებენ, რომ თუ ჯანდაცვის პროგრამების ღარიბ ოჯახებზე ხელახლა გადაორიენტირება არ მოხდება, სხვაობა მდიდრებს და ღარიბებს შორის კიდევ უფრო გაიზრდება.

„ღრუბლის“ „კანონი“

ნეჭას უფრო მეტი ზიანი მოაქვს, ვიდრე სარგებელი.

დერმატოლოგთა მონაცემების, ბაქტერიების, სოკოსა და ობის გასამრავლებლად ნეჭა იდეალური გარემოა. განსაკუთრებით სახიფათო კი ნეჭა მიკრობზარებიანი კანის მქონე ადამიანებისთვისაა.

არასასურველი შედეგების მინიმუმამდე დასაყვანად, საჭიროა ყოველი ხმარების შემდეგ ნეჭას გარეცხვა და გაშრობა, ყოველ სამ კვირაში ერთხელ კი — მისი გამოცვლა.

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო
ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გასაცინებელი ა(მ)ბები

მსოფლიო რეკორდი

ცნობილი სპორტსმენი მძიმედ გახდა ავად. ექიმმა გასინჯა, სიცხეც გაუზომა და შეჰყვირა:

— ეჰე! 39,2.

— მსოფლიო რეკორდი რამდენია? — ჰკითხა შეშფოთებულმა ავადმყოფმა.

მდგომარეობიდან გამოსვლა

— **რატომ** წამლებს არ იღებთ? — მკაცრად ჰკითხა ექიმმა პაციენტს.

— ძალიან მწარეა.

— იცი, რა? წამალს რომ დალევ, იფიქრე, ვითომ კონიაკს სვამთ.

— არა, ექიმო, პირიქით ვიზამ, — კონიაკს დავლევ და ვიფიქრებ, ვითომ წამალს ვსვამ...

სამოთხის საკითხი

ცოლ-ქმარი ჩხუბობს:

— დარწმუნებული ვარ, — თქვა ცოლმა, — სამოთხეში ქალები და კაცები ცალ-ცალკე არიან...

— რასაკვირველია, — მიუგო ქმარმა, — წინააღმდეგ შემთხვევაში რაღა სამოთხე იქნებოდა?!

მოცეკვავე

საცეკვაო მოედანზე ახალგაზრდა კაცი ქალიშვილს ეცეკვება.

— ეს ტანგოა, — ეუბნება აღფრთოვანებული ახალგაზრდა კაცი. — თანახმა ვარ, რომ დილამდე გეცეკვო.

— ცეკვის სწავლას ახლა აპირებ?

როგორც ყინული

მავანმა მეფემ სადილობისას თანამეინახე ოფიცრების გასაგონად გაკვირვებულმა თქვა: მიუხედავად იმისა, რომ დიდი გადასახადებია დაწესებული, ხაზინა მაინც ცარიელიაო. მაშინ, ბებერმა გენერალმა შამპანურის ჩასაციებელი ჭურჭლიდან ყინულის ნატეხი ამოიღო და მეზობელს გადასცა, რათა იმას თავის გვერდით მჯდომისთვის გადაეცა, ერთი სიტყვით, ამ გადაცემაგადაცემაში, სანამ ყინულის ნატეხი მეფემდე მივიდა, სულ დადნა.

— აი, რატომ არის ხაზინაში სიცარიელე, თქვენო უმაღლესობავ! — ნიშნისმოგებით მიუგო ბებერმა გენერალმა.

გამოიწერეთ „საქართველოს რესპუბლიკა“ და ამით გადაარჩინეთ თქვენი გაზეთი

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.5453; ევრო - 3.0001;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3952;
100 რუბლი - 4.3412; თურქული ლირა - 0.6614;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4972;
1000 სომხური დრამი - 5.2752.

ამინდი 20 დეკემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-3,	დღე	+13
მთიანი რაიონები -	ღამე	-4,	დღე	+10
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+4,	დღე	+15
მთიანი რაიონები -	ღამე	0,	დღე	+9
თბილისი:	ღამე	+2,	დღე	+12

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge